ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 80 წლისაა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №9. ნოემბერი. 2015.

„მოგონებები გარდასულ დღეთა...“

მიმდინარე წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერიტეტს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. განვლილი რვა ათეული წლის განმავლობაში ჩვენს უნივერსიტეტში არაერთ სახელოვან მეცნიერს უღვაწია, არაერთი სახელოვანი მეცნიერიც აღუზრდია იუბილარს. ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი აღზრდილი და შემდეგ მისი თანამშრომელი, ღვაწლმოსილი მეცნიერი, პროფესორი იური სიხარულიძე თავის ჩანაწერებში იხსენებს გასული საუკუნის 40-50-იანი წლების ბათუმს და ბათუმის პედინსტიტუტში იმხანად მოღვაწე ცნობილ ადამიანებს.

თავბათუმი

1947 წლის სექტემბერი იდგა. ბათუმის სახემწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი ვახტანგ პარკაძე (შემდეგ პროფესორი და პარიზის მეცნიერებათა ისტორიის აკადემიის წევრი) დერეფანში იდგა და ინსტიტუტის ეზოს შესცქეროდა.

მივუახლოვდი, მივესალმე და ჩემი ვინაობა გავაცანი.

-სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი ხართ, აქტიურად უნდა მუშაობდეთ — ბრძანა მან.

-რომ ვმუშაობ იმიტომ მოვხვდი თქვენთან. ამ დღეებში „თავბათუმის საძებრად მიმყავს წრის წევრები და მინდა თქვენც იცოდეთ, -ვუთხარი მე.

-რის საძებრად მიგყავს სტუდენტები? პირველად მესმის ასეთი სახელწოდება.

-ისტორიამ დაივიწყა, ბატონო ვახტანგ, სასურველია მისი მოძებნა და შესწავლა.

-ძალიან კარგია, ასეთი ძიება, გისურვებთ წარმატებას, ძიების შედეგი მომახსენეთ.

გამოვემშვიდობე დირექტორს და გასამგზავრებლად მზადება განვაგრძე.

მეორე დღეს, კვირას, მე და ჩემი ორი ახალი მეგობარი, ალი კაკაბაძე და რიზალი საკანდელიძე შუა ბათუმისაკენ მიმავალ გზას დავადექით. ყველაფერს ვაკვირდებოდით, განსაკუთრებით ციხის და ეკლესიის ნანგრევი გვაინტერესებდა.

ჩაისუბნის ცენტრს რომ მივუახლოვდით, ორი შუა ასაკის კაცი შეგვხვდა და იმათ ვკითხეთ „თავბათუმი“ ხომ არ გაგიგონიათო.

-თავბათუმი არა, მაგრამ ყოროლისთავი აქვე ახლოს არისო.

მადლობა გადავუხადეთ და გზა განვაგრძეთ ყოროლისთავისაკენ, ცენტრში არავინ იყო და სოფლის დათვალიერებას შევუდექით. შემდეგ დავსხედით და აზრები გავუზიარეთ ერთმანეთს.

თუ ოდესმე არსებობდა სოფელი „თავბათუმი“, ამ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო გაშლილი.

დროთა განმავლობაში დიდი ცვლილებები მომხდარა. მდინარეს სახელი შეუცლია და „ბათუმის“ ნაცვლად ყორილი მიუღია.

ეს უბრალო ცვლილება არ ყოფილა და „ნათესავთა“ (ტომი) შეცვლას გულისხმობდა. ამავე პრინციპს უნდა გადაჰყოლოდა ამ ხევის სახელიც „თავბათუმი“. ამ სახელმა ისტორიის ქარტეხილებს მხოლოდ ხევის შუაწელსა და ქვემოთ გაუძლო. ერთმაც და მეორემაც ჩვენ დრომდე მოაღწიეს. შუამ „ორთაბათუმის“, ხოლო ქვემომ — ბათუმის სახელით.

ამ პერიოდში მეზობელი ენების (რუსული, თურქული) გავლენით ორივემ ერთგვარად შეუცვალეს „ბათომს“ სახელი მის „ბათუმის“ ფორმით დამკვიდრებას შეუწყვეს ხელი.

მეორე დღეს დაპირებისამებრ, ვეწვიეთ ინსტიტუტის დირეტორს და ჩვენი გასვლის ეს შედეგები ვუამბეთ.

დირექტორი კმაყოფილი დარჩა და ასეთი ძიების გაგრძელება გვისურვა.

აკაკი შანიძე
(მოგონება)

დიდ ქართველ მეცნიერს, აკაკი შანიძეს თავისი გამოკვლევებით მოსწავლეობის დროიდან ვიცნობდი, პირადად კი ასპირანტობის ხანიდან დავუახლოვდი. ამაში დიდი როლი აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა (1862-1953) შეასრულა, რადგან ხშირად მგზავნიდა ბატონ აკაკისთან სხვადასხვ ადავალებით. ბატონი აკაკი დიდი უბრალოებით გამორჩეული პიროვნება ბრძანდებოდა. ამასთან ერთად ძალიან უყვარდა ახალგაზრდები.

გაცნობისთანავე მან დაწვრილებით გამომკითხა ვინაობა და ძალიან ესიამოვნა, როცა ჩემი ინტერესები მოვახსენე.

თანდათან გავუშინაურდი ბატონ აკაკის და ქართულ ხალხურ სიმღერებზე ჩამოვუგდე სიტყვა. სიმღერა დიდი ფენომენია - ბრძანა მან და „მასპინძელსა მხიარულსა“ წამოიწყო.

შემდეგ კრიმანჭულიან სიმღერებზე გადავედით. ჩემი კრიმანჭული მოეწონა და ამიერიდან ყოველთვის კრიმანჭულიან სიმღერებს ირჩევდა.

ჩვენი ერთობლივი გამოსვლა ფართო აუდიტორიის წინაშე პროფესორ ქსენია სიხარულიძის საიუბილეო საღამოზე გახდა შესაძლებელი თბილისის უნივერსიტეტის რესტორანში. მომღერალთა შორის იმ საღამოს ამშვენებდნენ ანანია ერქომაიშვილი, მიხეილ კოროშინაძე და გარსევან სიხარულიძე. მათ მეც მიმიხმეს, რადგან კრიმანჭული ესაჭიროებოდათ. ცოტა ხნის შემდეგ ბატონი აკაკიც შემოგვიერთდა. თამადამ (აკაკი ვეკუა) მოიწონა ჩვენი ანსაბლი და შეგვაქო კიდეც.

ეს იყო ჩვენი ერთადერთი ერთობლივი გამოსვლა, სხვა შეხვედრები აკაკის სამუშაო კაბინეტში იწყებოდა და მთავრდებოდა.

გარდა სიმღრისა ბატონი აკაკისთან თავის ტოპონიმიურ კვლევებზეც ხალისით ვსაუბრობდი.

მხცოვანი მეცნიერი დიდად აფასებდა ჩემს სატოპონიმო მუშაობასაც. კარგად იცნობდა ჩემი ,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის” ორწიგნეულსაც. გაუხარდა, რომ მუშაობას სვანეთზეც გავაგრძელე და იქაც ორი წიგნი გამოვეცი.

ამ წიგნებს იგი პატარა, მაგარამ, მშვენიერი რეცენზიით გამოეხმაურა.

აკაკი შანიძის ეს რეცენზია პროფესორმა თეიმურაზ კომახიძემ ჩემი ცხოვრების ამსახველ წიგნშიც შეიტანა.

ბატონი აკაკი ძალიან მიყვარდა და მსურდა, რომ ჩემს შთამომავლებსაც გადადებოდა იგი. ამიტომ ერთხელ მას ჩემი პატარა, უფროსი შვილიშვილი (ახლა თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელი) ვასტუმრე ბატონ აკაკის.

ამან ძალიან გაახარა მეცნიერი, თავის საწერ მაგიდასთან დასვა პატარა სტუმარი და სულ მალე სახლიდან გამოგზავნილი ნობათით (თეთრი ყურძენი) გაუმასპინძლდა. ამ დღეს ხალისით იგონებს ჩემი შვილიშვილი, რაც მეც ძალიან მახარებს.

ბატონმა აკაკიმ ცხოვრების დიდი გზა განვლო, დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და 1920 წელს თბილისში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ამ დროს ის არჩეული გახლდათ პროფესორად. 1939 წელს ბატონი აკაკი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეპოდენტადაც აირჩიეს. წარმატებები არც შემდეგ მოკლებია. 1941 წელს ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრიც გახდა, ხოლო აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას გარდაცვალების (1947წ.) შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო კარგა ხანს, ხოლო (1951) წელს შეცვალა მისმა სტუდენტმა, აკადემიკოსმა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა (1890-1965).

დიდი მეცნიერი სიცოცხლის ხანგძლივობითაც სამაგალითო ბრძანდებოდა. მან ასი წელი დაარღვია და თბილისის უნივერსიტეტის მამების გვერდით დაიდო საუკუნო განსასვენებელი. ბატონი აკაკის პიროვნება და სამეცნიერო მემკვიდრეობა დაუვიწყარია.

ნიკო მარი
(მოგონება დაბადების 150 წლისთავის გამო)

ჩვენს ოჯახში ბებიაჩემისა (ფატი ლომთათიძე — 1881-1956) და მამაჩემის, ჩოხატაურის ჰუმანიტარული ტექნიკუმის სტუდენტის, მოსე სიხარულიძის (1962-1986) წყალობით, ნიკო მარისა და მისი ვაჟის პროფესორ იური მარის სახელი ხშირად ისმოდა.

აბა რას ვიფიქრებდი, თუ ამ დიდ მეცნიერს უფალი შემახვედრებდა.

1932 წლის ცხელი აგვისტო იდგა. მე 6 წლისა და 2 თვის გახლდით (1926 წლის 24 მაისს დავიბადე) და ბებიამ თავის დედულეთში (სოფ. სუფსის ხეობაში, სოფელ იანეულში ისურვა წასვლა.

რადგან დიდი სიცხეები იყო, ბებიამ ადრე მოინდომა წასვლა და ის იყო ჩხიკვიშვილების წყაროს მივატანეთ, როდესაც მზეც ამოიწვერა.

ეს იყო გზაზე ვიღაც კაცი გამოჩნდა, რომელიც ჩვენკენ მოდიოდა.

-ბებია, ნიკო მარს რომ აქებს მამაშენი, ის დიდი კაცი მოდის. ის რუსეთში ცხოვრობს, მაგრამ ზაფხულში თავის სახლ-კარსაც მოინახულებს ხოლმე, ძალიან უყვარს თავისი სოფელიც და მთელი საქართველო.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

უნივერსიტეტს ბათუმში აზერბაიჯანის გენერალური კონსული რაშად ფაილ ოღლუ ისმაილოვი ეწვია

ბათუმში აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური კონსული რაშად ფაილ ოღლუ ისმაილოვი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. დიპლომატი რექტორის მოვალეობის შემსრულებელ მერაბ ხალვაშს შეხვდა და საუნივერსიტეტო ცხოვრებას, უნივერსირტეტის ისტორიას, სასწავლო პროგრამებსა და საუნივერსიტეტოს ცხოვრებას გაეცნო. დიპლომატმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ორი ქვეყნის თანამშრომლობის მნიშვნელობასა და საგანმანათლებლო-სამეცნიერო ურთიერთობებზე ისაუბრა. ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ბსუ-სა და აზერბაიჯანის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

ძვირფასო მეგობრებო!

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციას, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სულითა და გულით გილოცავთ ღირშესანიშნავ თარიღს - დაარსებიდან მე-80 იუბილეს.

ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის მანძილზე მიღწეულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი წარმატება. 2015 წელს, პირველად აჭარაში, უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე სწავლება გაიარეს ნორვეგიელმა სტუდენტებმა, რომლებიც სემესტრის განმავლობაში ახლოს გაეცნენ აჭარას, როგორც სკანდინავიელი ტურისტებისათვის ერთ-ერთ აქტუალურ ტურისტული დანიშნულების ადგილს.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი უნივერსიტეტი მომავალშიც დაიკავებს მოწინავე პოზიციას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეიტინგში, ხოლო კურსდამთავრებულები კი იქნებიან მოწინავე მეცნიერული აზრის გამტარებლები საზოგადოების ყველა სფეროში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებო, ვეტერანებო, ძვირფასო კოლეგებო გისურვებთ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, შემოქმედებით წარმატებებს პედაგოგების პროფესიული ოსტატობის ამაღლებისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში, ახალ მეცნიერულ მიღწევებსა და გამარჯვებებში, რომელთა მეშვეობითაც ჩვენი ქვეყანა იქნება უფრო მდიდარი, ძლიერი და თანამედროვე.

თეიმურაზ აბესაძე,
PhD, ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტის პროფესორი.

დაჯილდოება

მეცნიერების მსოფლიო დღე მშვიდობისა და განვითარებისათვის (World Science Day for Peace and Development) ყოველწლიურად აღინიშნება 10 ნოემბერს, საზოგადოების ცნობიერებაში მეცნიერების მნიშვნელობის ხაზგასასმელად.

ამ დღის აღნიშვნა რეკომენდებული იყო 1999 წელს ბუდაპეშტში, მსოფლიო სამეცნიერო კონფერენციაზე (World Conference on Science), სადაც მიიღეს გადაწყვეტილება საზოგადოებისა და მეცნიერების უფრო მჭიდრო ურთიერთქმედების აუცილებლობის შესახებ. მეცნიერების დღესასწაული პირველად აღინიშნა 2002 წელს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ამა წლის 10 ნოემბერს ქალაქ თბილისში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა საზეიმო სხდომა, რომელზეც აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მარინე არეშიძე** და ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი **ზოია სიხარულიძე** იყვნენ დაჯილდოებული საპატიო სიგელებით.

ევრაზიის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს თურქეთის გენერალური კონსული ბათუმში იასინ თემიზქანი და ევრაზიის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი აშქინ ასანი ეწვია. დელეგაციასთან ერთად უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან მერაბ ხალვაშთან გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. ვიზიტისას ასევე დაიგეგმა თანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების პირობები.

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ჯვირეულის ეგიდით საჯარო ლექციები იმართება

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის ეგიდით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექციები ტარდება. სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილების უფროსმა ზოია სიხარულიძემ ლექცია წაიკითხა თემაზე: „ფიტოპათოლოგიური კვლევები - გუშინ, დღეს, ხვალ“, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორმა რაულ გოცირიძემ - „ფიტოპათოლოგიური კვლევები - გუშინ, დღეს, ხვალ“, ხოლო ნიკო ბერძენიშვილის

ინსტიტუტის დირექტორმა როინ მალაყმაძემ და ინსიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების უფროსმა შუშანა ფუტკარაძემ - „სტამბოლის ქართული კულტურის სავანე“. საჯარო ლექციები პროფესორ ალეკო კალანდიას მოხსენებით „საკვები-სარგებელი და საფრთხე“ დასრულდება.

საქართველოსა და კავკასიაში მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეული პირველად ტარდება, რომელიც 10 ნოემბერს, მეცნიერების საერთაშორისო დღეს გაიხსნა და 17 ნოემბერს, სტუდენტთა საერთაშორისო დღეს დასრულდება.

კვირეულის მიზნებია:

- სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა;
- ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა;
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;
- ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის;
- ახალგაზრდა მკვლევართა მოტივაციის ზრდა;
- სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება სამეცნიერო კვლევებითა და ინოვაციებით;
- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დაახლოება.

მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის ფარგლებში ტარდება რამდენიმე საერთაშორისო მასშტაბის ცენტრალური და 100-ზე მეტი პარალელური ღონისძიება. კერძოდ, კონფერენციები, უახლესი სამეცნიერო გამოცემებისა და პროექტების პრეზენტაციები და გამოფენები, სამეცნიერო-პოპულარული ლექცია-სემინარები, ტრენინგები, ვორკშოპები, ღია კარის დღეები, სამეცნიერო კაფეები, სახალისო მეცნიერება სკოლის მოსწავლეებისთვის და სხვ.

კვირეულში მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მაიკროსოფტი - საქართველო, სან დიეგოს უნივერსიტეტი, შპრინგერის გამომცემლობა, მეცნიერების სფეროს უცხოელი წარმომადგენლები შემდეგი ქვეყნებიდან: აშშ, გერმანია, შვეიცარია და ცერნის ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი მოძრავი გამოფენით „ცერნი დღეს“ და „LHC ინტერაქტიული გვირაბი“.

ეროვნულ ფესვებზე დაფუძნებული სიამაყე - ჩვენი უნივერსიტეტი!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, მთელ ქართველ ხალხთან და სამეცნიერო საზოგადოებასთან ერთად, მადლიერების გრძნობით, ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნავს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლის იუბილეს.

ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან 55 წლიანი ურთიერთობა მაკავშირებს. როცა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი გავხდი, ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტთან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი. სწორედ აქ გავდიოდი ლექცია-პრაქტიკულების კურსს ინსტიტუტის გამოჩენილ პროფესორ-მასწავლებლებთან.

სტუდენტობის, ასპირანტურის და სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში კიდევ უფრო დავუახლოვდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი კი უნივერსიტეტში ბოლო 25 წლის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული, რა დროსაც განსაკუთრებული გრძნობა და მოწიწება ჩამომიყალიბდა განათლების ამ ერთ-ერთი მოწინავე კერის მიმართ.

დღევანდელი გადასახედიდან ვიგონებ იმ ბედნიერ წლებს, რომლებიც ცოდნის ამ კედლებში გავატარე და ვამაყობ, რომ წილად მხვდა ბედნიერება, მემუშავა გამოჩენილ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, მათთან სიახლოვით ყოველთვის მეძლეოდა საშუალება კარგად შემეგრძნო მათი სიყვარული ახალგაზრდა თაობის მიმართ.

ვიხსენებ ჩვენი უნივერსიტეტის ჭეშმარიტ მამულიშვილებს, ვინც უანგაროდ, მთელი არსებით, სულითა და გულით ემსახურა საყვარელ საქმეს, საკუთარ ხალხსა და სამშობლოს და მაგონდება დიდი ილიას სიტყვები: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შესაძლებლობებს, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰპოულობს, ზოგს დიდბუნოვანობის შარავანდედითა, და თაყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში განვითარებული მეტად რთული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების ფონზე, ნაკლებად მოგვეპოვება დაწესებულება, რომელიც ასე გადაურჩა ნგრევას და განადგურებას, როგორც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რაც უდაოდ უნივერსიტეტის თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევის, დიდი პასუხისმგებლობის, პატიოსნების, გულისხმიერებისა და საქმის სიყვარულის შედეგია. საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი ურთიერთობების განვითარებამ, მეცნიერების მრავალ დარგში მაღალკვალიფიციური ეროვნული სამეცნიერო კადრების არსებობამ, ახალგაზრდა მეცნიერთა რიგების სწრაფმა ზრდამ, ლაბორატორიების ქსელის გაფართოებამ შექმნა ყველა აუცილებელი პირობა ავტონომიურ რესპუბლიკაში მეცნიერების დამოუკიდებელი მოთავე ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის. უნივერსიტეტში სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული პროექტები, რომელთა საექსპერტო მონიტორინგს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესაბამისი განყოფილებები ახდენენ, წარმოაჩენს უნივერსიტეტის მიერ საერთოდ მეცნიერებაში ჩამოყალიბებულ ახალ ტენდენციებს, გამოქვეყნებული მასალებისა თუ სტატიების მაღალ კვალიფიკაციას, სამეცნიერო ღირებულებასა და ორიგინალურობას, საზოგადოებრივ კეთილსინდისიერებას.

ჩემთვის, უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი, აგრარული მიმართულების წევრები, უახლოესი თანამშრომლები, ცხოვრების არსის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ. ორმოცდაათი წელია, რაც მე სამეცნიერო-პედადოგიურ მოღვაწეობას ვეწევი, მაგრამ ნაკლებად შემხვედრია ისეთი თბილი, გულისხმიერი და ლამაზი ურთიერთობა, როგორსაც უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის ვგრძნობ.

უდიდესი მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნო ის ყურადღება და სიკეთე, რომელიც გამოიჩინა უნივერსიტეტის რექტორატმა, ჩემმა ფაკულტეტმა და უნივერსიტეტის მთელმა კოლექტივმა ჩემი დაბადების 75 წლისათავის აღსანიშნავად.

ჩვენდა საბედნიეროდ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს არ გამოლევია და ღმერთმა ნურც გამოულიოს იმედის, რწმენის, ურთიერთპატივისცემის, ოპტიმიზმის ულევი წყარო, თუნდაც უნივერსიტეტის დაარსებიდან 80 წლის საიუბილეო ღონისძიების თავკაცების სახით, ღონისძიებისა, რომელიც მომავალი თაობებისათვის წარსულის არდავიწყების საუკეთესო მაგალითია, რადგანაც ეს არის სახელოვანი იუბილე იმ პიროვნებებისთვისაც, რომლებმაც საკუთარი ხალხის დიდი სიყვარულით, ღრმა განსწავლულობით, უბრალოებით, პატიოსნებით, სამართლიანობით, პრინციპულობით, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. დიდ ვაჟას უბრძანებია: „ვინც ახალგაზრდებს კეთილგონიერად ზრდის, იგია აღმზრდელი, გამბედნიერებელი ერისა“. მისივე რწმენით, ამ ღვთისნიერი საქმის აღსრულება, მხოლოდ „ღვთიური ნიჭით მირონცხებულთა და სულით მდიდართა“ ხვედრია. ეს სიტყვები სავსებით მიესადაგება ამა ქვეყნიდან წასულ და ამჟამად უნივერსიტეტში მოღვაწე უკლებლივ ყველა თანამშრომელს.

დარწმუნებული ვარ, რომ ის სულიერი, ფიზიკური თუ ინტელექტუალური ძალა, რომელიც დღეს გააჩნია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, კვლავაც გაძლიერდება, ამაღლდება. ყველაფერი გაკეთდება საიმისოდ, რომ უნივერსიტეტი კვლავაც თავის სიმაღლეზე იდგეს. ამინ!

ვანო პაპუნიძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის I გამოშვება

ჩემი მშობლიური უნივერსიტეტი დღეს იუბილარია! მიხარია, რომ მე ამ უნივერსიტეტის (პირველი გამოშვების) კურსდამთავრებული ვარ და ჩემი პედაგოგიური საქმიანობაც დღემდე მასვე უკავშირდება. ორ-ნახევარი ათეული წელია, ყოველდღიურად ამ კედლებში ვსაქმიანობ და ჩემი უნივერსიტეტი საკუთარი ოჯახივით მიყვარს. 1990 სასწავლო წელს, როცა ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობის პირველკურსელი გახლდით, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი უნივერსიტეტად გადაკეთდა, გაიმიჯნა სპეციალობები და ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა ავირჩიე. 1990-1995 სასწავლო წლის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის კურსდამთავრებულთაგან რამდენიმე ამავე თუ სხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელია: ნათია ფარტენაძე (ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი), ქეთევან შოთაძე (პედაგოგიკის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი), ნარგიზ ახვლედიანი (ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი), მედეა რიჟვაძე და თალიკო ბერიძე (წმინდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის პროფესორები). გურანდა შამილიშვილი ბსუ ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა.

ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის კურსდამთავრებულთაგან ბევრი ეწევა წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას: ლამზირა ზაქარაძე,თინიკო გაბუნია, ბელა ტყაბლაძე, ნინო წიქორიძე, ნინო ურიდია, ანქორ ქონიაძე, ხათუნა ძნელაძე, რამინ შავაძე და ბევრი სხვა... ირმა ბაჯელიძე თბილისის დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის-ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და პედაგოგთა ასოციაცია,,მცოდნელის“ დამაარსებელია; მაყვალა ანთაძე წმინდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა- პანსიონის მენეჯერია ზოგადი განათლების დარგში.

რამდენიმე მათგანი ჟურნალისტის პროფესიას გაჰყვა. მათ შორისაა ირმა აბულაძე, ირმა შერვაშიძე გაზეთ „აჭარის“ გამომშვები რედაქტორია.

ზოგიერთი კიდევ მთავრობის აპარატში მუშაობს: ნონა წულაძე-ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის განათლების და კულტურის განყოფილებაში მთავარი სპეციალისტია; ნათია ზოიძე- არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ბათუმის კოორდინატორია.

ეკა ფილიშვილი მთავრობის წარმომადგენელი და **Myown business**-ის ექსკლუზიური დირექტორია, მუშაობს ავსტრიაში, ვენის დიპლომატიურ აკადემიაში.

დამეთანხმება ყველა კურსდამთავრებული, რომ უნივერსიტეტში გატარებული წლები იყო ყველაზე აქტიური, ნაყოფიერი, შემოქმედებითი კვლევა-ძიების, პიროვნებად ფორმირების წლები; წლები, რომლებიც სულიერ საგზლად მოჰყვება ნებისმიერ ჩვენგანს. დაუვიწყარია მერი ცინცაძის, მამია ფაღავას, ლევან ხალვაშის, შორენა მახაჭაძის, ელგუჯა მაკარაძის, მურმან გორგოშაძის, მზია ხახუტაიშვილის და სხვათა ლექციები. საგანთან ერთად აქ გვასწავლიდნენ ადამიანურ ღირებულებებს, კეთილშობილებას, დიდსულოვნებას, მიტევებას, სათნოებას. თითოეული ლექტორი ჩვენთვის ეტალონი გახლდათ. ისინი არ იშურებდნენ ძალას და ენერგიას; უანგაროდ, განუსაზღვრელი დროით გვწვრთნიდნენ, გვამეცადინებდნენ, გვაწვდიდნენ ლიტერატურას, რომელიც მაშინ დეფიციტური იყო. კარგად მახსოვს გაცრეცილი სიები, ვის უნდა წაეღო წასაკითხად თითო ღამით რომელიმე წიგნი. ამას მოჰყვებოდა აზრთა გაცვლა- გამოცვლა, დისკუსია.

მეამაყება, რომ ხუთწლიანი უმაღლესი განათლება ამ უნივერსიტეტში მივიღე. ასპირანტურაში მისაღები გამოცდების ჩაბარებისას აწ გარდაცვლილმა პროფესორმა კორნელი დანელიამ და საგამოცდო კომისიამ საგანგებოდ აღნიშნა ბსუ-ს კურსდამთავრებულთა მომზადების შესახებ. სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისას კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემს სპეციალობაში ყველაზე კარგად ჩვენს უნივერსიტეტში შეიძლებოდა სამეცნიერო ნაშრომის შესრულება.

1990-1995 სასწავლო წლის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის კურსდამთავრებულთა სახელით ვულოცავ მშობლიურ უნივერსიტეტს სახელოვან იუბილეს! ვულოცავ რექტორატს, ადმინისტრაციას, ღირსეულ პროფესურას და სტუდენტობას- ჩვენს საიმედო ცვლას! ვუსურვებ წინსვლას, ახალ- ახალ წარმატებებს სასწავლო და კვლევითს საქმიანობაში, ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის ამბობდა სეფე სიტყვას, მუდმივადიდგა საზოგადოებრივი ცხოვრების ეპიცენტრში, იმედი მაქვს ის კვალავაც გამოზრდის ახალგაზრდებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებასა და, რაც ყველაზე მთავარია, გამთლიანებას უზრუნველყოფენ.

ნანა ცეცხლაძე,
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

მიეძღვნა უნივერსიტეტის იუბილეს

საუნივერსიტეტო ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი სამეცნიერო კონფერენციები და სიმპოზიუმებია. იმ მრავალრიცხოვან ღონისძიებათა შორის, რომელიც უნივერსიტეტის იუბილეს ეძღვნება, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტში ჩატარებული ორი საერთაშორისო ღონისძიებაცაა.

მიმდინარე წლის 9-18 სექტემბერს ჩატარდა მეორე საერთაშორისო კონფერენცია და სკოლა-სემინარი (ვორკშოპი) „ლის ჯგუფები, დიფერენციალური განტოლებები და გეომეტრია“, რომელშიც მონაწილეობდნენ მეცნიერები როგორც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, ასევე უცხოეთიდან. კერძოდ, იტალიის ქალაქ პალერმოს უნივერსიტეტიდან, ჩეხეთის ოსტრავას უნივერსიტეტის, უნგრეთის დებრეცენის უნივერსიტეტიდან. საინტერესო მოხსენებების პარალელურად, გაიმართა დისკუსიები სწავლების აქტუალურ საკითხებზე, მომავალი სპეციალისტების მომზადების პერსპექტივებსა და ამოცანებზე. დაისახა მომავალი ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული გეგმები და ამოცანები. აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა მარია კიურის საერთაშორისო საგრანტო პროექტის (FP7-PEOPLE-2012-IღშE3-317721) ფარგლებში.

წარმომადგენლობისა და მონაწილეთა შემადგენლობით უმნიშვნელოვანესი იყო 26-29 სექტემბერს ჩატარებული „კომპიუტერული ტექნოლოგიების შექმნისა და ტესტირების აღმოსავლეთ-დასავლეთის სიმპოზიუმი“ (2015 IEEE East West Design and Test Symposium), რომელსაც კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში მომუშავე ცნობილი მეცნიერები ესწრებოდნენ აშშ-დან, იტალიიდან, ირანიდან, საფრანგეთიდან, ესტონეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. კონფერენციის მონაწილეთა შორის იყო ცნობილი ამერკელი მეცნიერი, დოქტორი ერვანტ ზორიანი, რომელიც არის უმსხვილესი ამერიკული კომპანიის SYNOPSYS მთავარი არქიტექტორი, რომელიც მუშაობს სისტემების ავტომატიზებული პროექტირების სფეროში ელექტრონიკის მიმართულებით, არის 34 პატენტის, 4 წიგნის, 350-ზე მეტი რეფერირებული ნაშრომისა და 1500-ზე მეტი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, მრავალი უნივერსიტეტის პროფესორი.

სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ხარკოვის ეროვნული უნივერსიტეტის რადიო-ელექტრონიკის უნივერსიტეტის პროფესორი, ვლადიმერ ხახანოვი მაღალ შეფასებას აძლევს, როგორც თავად სიმპოზიუმის მუშაობას, ასევე ბათუმის უნივერსიტეტს და თავად ჩვენს ქალაქს. მის მიერ გამოთქმული შეფასების ჩემეულ თარგმანს უცვლელად გთავაზობთ:

„ჩატარდა 2015 წლის „კომპიუტერული ტექნოლოგიების შექმნისა და ტესტირების აღმოსავლეთ-დასავლეთის სიმპოზიუმი“ ბათუმში. ჩვენი მონაწილეები არიან საუკეთესო მეცნიერები აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნებიდან, ასევე ახალგაზრდა ტალანტები, რომლებსაც არა ფორმალურად, არამედ რეალურად უნდათ, რომ იყვნენ ტექნოლოგიურად კულტურული მეცნიერი-პროფესორები და შემდგარი ადამიანები. სულ 27 ქვეყანა, მონაწილეთა ნახევარზე მეტი ინგლისურ ენაზე ბრწყინვალედ მოლაპარაკე ახალგაზრდა სპეციალისტი; ულამაზესი, მარმარილოში ჩასმული ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი; ახალგაზრდა, ინიციატივიანი რექტორი მერაბ ხალვაში; არაჩვეულებრივი კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, რომელიც გვმასპინძლობდა, თავკაცთან დავითთან (გვარებს შეგნებულად არ ვწერ, მათ ყველა იცნობს) და თანამშრომლებთან მიშასთან, ზაზასთან და ვახტანგთან ერთად; ინიციატივიანი დეკანი გულადი. ყველა მათგანი-ერთი ძლიერი გუნდია, რომელიც მუშაობს მეცნიერებისა და განათლების წარმატებისათვის.

ბათუმი არის ზღაპარი, შექმნილი სიცოცხლისმოყვარე და ბედნიერი ადამიანების მიერ, ნათელი მომავლის და წარმატების იმედით აგებული, დაფუძნებული უძველეს ქართულ ჰუმანისტურ იდეებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობათა ახლებურ ტრადიციებზე. დაბეჯითებით ვიტყვი, რომ ბათუმს სულ რაღაც 3-5 წელი აშორებს ზღაპრისაგან, რომელსაც სინგაპური ქვია. მსოფლიოში ვერსად ნახავთ ყოველი ადამიანისათვის ხელმისაწვდომ, მრავალკილომეტრიან, ფანტასტიკური სილამაზის ზღვის სანაპიროს. ყველაფერი ადამიანებისათვის-ეს არის ამ პატარა ქვეყნის დევიზი! მოქალაქეებისთვის ნებისმიერი მომსახურების მისაღებად მოქმედებს ერთი ფანჯრის პრინციპი. რა სამწუხაროა, რომ არ შეგვიძლია დავაპროგრამოთ ჩვენი წარმატება. ყველა უნდა ეწვიოს ბათუმს და ისწავლოს ნაყოფიერი შრომა, შემოქმედება და ბედნიერი ცხოვრება და არა არსებობა.“

მეტად ოპტიმისტური და ლამაზად დანახული რეალობაა და მინდა ვისურვო, რომ ყველა ჩვენგანიც ასე ფიქრობდეს, და რომ რეალურად იყოს ბათუმი შენების, შრომის, შემოქმედების ქალაქი, სადაც ადამიანები კი არ ცოცხლობენ, არამედ ცხოვრობენ, ქმნიან და ბედნიერები არიან...და ჩვენი უნივერსიტეტი ამ ცხოვრების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი ყოფილიყოს!

ყველას გილოცავთ უნივერსიტეტის იუბილეს!

ციცინო სარაჯიშვილი,
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ღია მონაცემების პორტალის წარდგინება

ღია მონაცემების პორტალის - data.gov.ge წარდგინება გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) თავმჯდომარემ ლევან ავალიშვილმა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დაცული საჯარო მონაცემების ბაზების მონაცემე-

ბი გააცნო და ისაუბრა მათი ხელმისაწვდომობის საკითხებსა და ბიზნეს-სტარტაპების გამოყენების გზებზე. პორტალი მოქალაქეებს, ბიზნესმენებს და ყველა დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს გაეცნონ არა მხოლოდ სახელმწიფო მონაცემებს, არამედ მათი გამოყენებით შექმნან ინოვაციური აპლიკაციები, ბიზნეს-პროექტები და ელექტრონული სერვისები. ღონისძიება IDFI-ის პროექტის „ღია მონაცემები: ცვლილებებისა და ინოვაციების წყარო“ ფარგლებში ჩატარდა.

თურქ ბიზნესმენთა ასოციაციასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თურქ ბიზნესმენთა ასოციაციას შორის. დოკუმენტი მიზნად ისახავს გაცვლითი პროგრამების ამოქმედებას,

სასწავლო-სამეცნიერო პროექტების განხორციელებას და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმებას. მხარეთა შეთანხმებით, ჩატარდება სამეცნიერო კონფერენციები, საზაფხულო სკოლები და სემინარები. ასოციაციის ხელშეწყობით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი და თურქოლოგიის მიმართულების აუდიტორიები აღიჭურვება კომპიუტერული აპარატურით, მეთოდოლოგიური ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით და წარჩინებული სტუდენტებისათვის დაწესდება სტიპენდიები.

უნივერსიტეტი მწუხარებას გამოთქვამს პარიზში მომხდარი ტრაგედიის გამო

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მწუხარებას გამოთქვამს 13 ნოემბერს, პარიზში მომხდარი ტრაგედიის გამო და თანაგრძნობას უცხადებს საფრანგეთსა და დაღუპულთა ოჯახებს. უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, მკვლევრებმა, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამართულ სოლიდარობის აქციაზე დაგმეს საფრანგეთში განხორციელებული ტერორისტული აქტები და პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

„Erasmus+“-ის საინფორმაციო შეხვედრა

„Erasmus+“-ის ეროვნული სააგენტოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლიკა ღლონტმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინფორმაციო შეხვედრა გამართა და ახალი საკონკურსო პროგრამები წარმოადგინა. ტემპუსის, ერაზმუს მუნდუსისა და ჟან მონეს პროგრამები 2015 წლიდან ახლად შექმნილი გაერთიანებული პროგრამის Erasmus+-ის ეგიდით ხორციელდება. ბსუ-ს სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ Degree Mobility-s,Credit Mobility-სა და Capacity Building for Higher Education-ის გაცვლით პროგრამებში.

„მოგონებები გარდასულ დღეთა...“

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

ბებიას საუბარი დამთავრებული არ ჰქონდა, როდესაც ის კაცი მოგვიახლოვდა და ბებიასთან შეჩერდა.

-გამარჯობა ფატი, როგორ ხართ? ჰკითხა მან ბებიას.

ბებიაც თბილად მიესალმა მას.

შემდეგ ნიკომ მე მომაქცია ყურადღება, თავზე ხელი გადამისვა და ბებიას ჩემი ვინაობა ჰკითხა.

-ჩემი შვილიშვილია - უთხრა ბებიამ.

მეცნიერი ჩემი სახელითაც დაინტერესდა: იურიჰ ქვია, ბატონო ნიკო, თქვენი ვაჟის სახელი.

-ეს როგორ?!

როგორ და თქვენი ვაჟი ამ ბიჭის მამის მასწავლებელი ბრძანდება ჩოხატაურის გიმნაზიაში და მის საპატივცემულოდ შემოვიდა ეს სახელი ჩვენს ოჯახში.

-საინტერესოა, ბრძანა ნიკომ, გამოგვემშვიდობა და ჩოხატაურისკენ გაეშურა.

მე და ბებია კარგა ხანს ვუცქეროდით მას, შემდეგ კი ჩვენც განვაგრძეთ გზა სუფსისაკენ და სუფსის გაბმულ ხიდს მივადექით...

ჩემს ცხოვრებაში მრავალ შესანიშნავ პიროვნებას შევხვედრილვარ, მაგრამ ყველაზე ადრე ღმერთმა ნიკო მარს შემახვედრა.

მისი ხელის სითბო დაუვიწყარია და რაღაც სიმბოლიკითაც არის დატვირთული.

ამის მერე მე ის აღარ შემხვედრია (1934 წელს გარდაიცვალა), მაგრამ სულ მახსოვდა და ვეძებდი მის შრომებს.

1938-19339 წლებში ბათუმში ვსწავლობდი და კლასში ნიკო მარით ჩემსავით გატაცებული არავინ იყო. ვინც არ იცოდა ამის მიზეზი, უკვირდათ, ვინც იცოდა - ამ გატაცებას ბუნებრივად მიიჩნევდა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების (1.09.1939) შემდეგ მამამ ბათუმიდან შინ დამაბრუნა და ნ.მარის სახელობის ჩოხატაურის საშუალო სკოლაში (დირექტორი იონა ტრაპაიძე) შემიყვანა.

ვწერდი რეფერატებს. ერთი ნ. მარსაც მივუძღვენი.

ეს გატაცება არც მერე შენელებულა. 1949 წელს ნ. მარის იუბილეს მეც რეფერატით შევხვდი. მაშინ უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი და ბათუმის სახლემწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი გახლდით.

სულ მალე დიდი მეცნიერი გააკრიტიკეს. მე ძალიან დიდ ინტერესს ვიჩენდი ამ კრიტიკისადმი, მაგრამ არ ავყოლილვარ მას. მახსოვდა ჩემი დიდი მასწავლებლის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის (1890-1965) ბრძნული შეგონება: „ნიკო მარი დიდი მეცნიერი გახლდათ. მისი აზრები არც ისე ადვილადაა მისაწვდომი. ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთო.“

1964 წელს ისტორიის ინსტიტუტმა ლენინგრადს (ახლა პეტერბურგი) მიმავლინა საკავშირო სატოპონიმო კონფერენციაზე. მაშინ მომეცა საშუალება ნიკო მარის საფლავი მომენახულებინა. მარტო არ ვყოფილვარ, ჩემთან ერთად იყო ნ.მარის მოწაფე, პროფესორი ალექსანდრე ღლონტიც.

დიდი მეციერი გურიაში ყოფნისას ინტერესით აკვირდებოდა გარემოს, სწავლობდა ფოლკლორს და სხვა. ის განსაკუთრებით იყო დაინტერესებული სურების ხეობით. სამწუხაროდ, ეს მხარე მაშინ სრულებით შეუსწავლელი იყო, არც ბუკისციხე იყო შესწავლილი და არც მის სამხრეთ ფერდობზე არსებულ ძველ ნაქალაქარს იცნობდა ვინმე. თორემ ნ.მარს არ გაუძნელდებოდა არც ამ ციხის რაობის შეცნობა და იმ ნაქალაქარსაც თავის ადგილს მიუჩენდა სურების ხეობის ისტორიაში.

მიუხედავად ამისა, თავისი წვდომის მეოხებით, მან მრავალი საფიქრალი გაუჩინა მომავალ თაობებს, რომელთა დიდი ნაწილი კვლავ ნიჭიერ მკვლევარს ელის.

გიორგი ხეჩინაშვილი

ერთ—ერთი პირველი პროფესორი, რომელიც ბათუმში გავიცანი 1938 წლის შემოდგომაზე ბატონი გიორგი ხეჩინაშვილი (აჭარის მთავარი მეანი) ბრძანდებოდა. ამას მის ვაჟს, ჩემს თანაკლასელს, დაუვიწყარ მეგობარს ლევან ხეჩინაშვილს ვუმადლი. ის ძალიან დამიახლოვდა და ერთხელ სახლშიც წამიყვანა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონი პროფესორიც მობრძანდა და თბილი მოპყრობით სამუდამოდ დამამახსოვრა ეს მშვენიერი დღე.

1939 წლის ბოლოს იძულებული გავხდი სოფელს (ჩოხატაურის რაიონი, სოფ. გოგოლესუბანი) დავბრუნებოდი, მაგრამ ხეჩინაშვილების საუკეთესო ოჯახი არ შეიძლებოდა რომ დამვიწყებოდა და 1944 წლის შემოდგომიდან ისევ განახლდა ჩვენი ურთიერთობა.



იური სიხარულიძე
პროფესორი

1944 წლის 14 ნოემბერს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი გავხდი, რაც გ. ხეჩინაშვილმა გულთბილად მომილოცა და შემდგომი წარმატებები მისურვა.

1953 წლის 19 მაისს თბილისში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხიც მოვიპოვე და ბევრი მეგობარი გავახარე, მათ შორის მამა-შვილი, გიორგი და ლევან ხეჩინაშვილები.

არც ლევანს შეგვიანებია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის დაცვა.

საზოგადოება „ცოდნის“ ხაზითაც ხშირად ვკითხულობდი ლექციებს, ზოგჯერ საჯაროსაც.

1954 წლის შემოდგომაზე ერთ—ერთი ლექცია („საქართველო რუსთაველის ეპოქაში“) საზოგადოების ერთ—ერთმა ორგანიზატორმა იბრაგიმ აბაშიძემ მასწავლებელთა საოლქო სახლშიც მოაწყო. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო (უმეტესად პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესურიდან). ლექციის პრეზიდუმის მაგიდას ამშვენებდნენ საზოგადოება „ცოდნის“ ადგილობრივი ხელმძღვანელები, პროფესორი გ. ხეჩინაშვილი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი, ნადიმ ნიჟარაძე და სახელმოხვეჭილ იპოეტი, მამია მალაზონა.

ლექცია პროფ, გ. ხეჩინაშვილმა გახსნა და სცენაზე მიმიხმო. ლექცია შესვენებით წავიდა, მაგრამ დარბაზს კაცი არ დაკლებია. საინტერესო იყო რომ, ლექციას ესწრებოდა ბათუმ—შემოქმედის ეპარქიის მღვდელმთავარი, მეუფე ეფრემი (სიდომონიძე) და ბათუმის სამღვდელოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ლექციის ბოლოს იყო შეკითხვები და აზრიც გამოთქვა ზოგიერთმა.

საყურადღებო გახლდათ რომ, სიტყვა მეუფემაც ითხოვა და ეს ბრგე, ასაკში შესული პიროვნება კათედრიდან დაელაპარაკა დარბაზს. მისი თქმით, ასეთი რთული ლექციის ასე ოსტატურად წარმართვა ლექტორის უთუოდ დიდი წარმატებაა. შემდეგ მიმიხმო კათედრასთან და მირონი მაცხო შუბლზე.

ასეთი რამ უჩვეულო გახლდათ იმდროინდელი ლექციებისა და ლექტორთა ცხოვრებაში.

ბოლოს პროფ. გ, ხეჩინაშვილმა შეგვიანებია რამდენიმე თბილი სიტყვა და სხდომაც დამთავრდა.

დრო გადიოდა, მაგრამ ლექციის მზე ჩასვლას არ აპირებდა, მისი დამსწრენი ხშირად იგონებდნენ იმ უჩვეულო დღეს.

ამის შემდეგ პროფ. გ. ხეჩინაშვილი კიდევ უფრო დამამახსოვრდა და ერთ დღეს სახლშიც მიმიწვია. სამწუხაროდ მისი სახელოვანი ვაჟი ცოცხალი აღარ იყო.

პროფ. გ. ხეჩინაშვილი ბათუმის დიდი სიმდიდრე გახლდა, რომელიც ხშირად უნდა გავიხსენოთ.

ნადია ჯიბუტი
(მოგონება)

ქალბატონი ნ. ჯიბუტი 1938 წლის სექტემბრის დამდეგს გავიცანი, როდესაც ბათუმის საბაზო სანიმუშო სკოლაში დავიწყე სწავლა.

იმ დროს მე-5 კლასში გახლდით. ოთხი კლასი მშობლიურ გოგოლისუბნის დაწყებით სკოლაში დავამთავრე წარჩინებით. რუსულსა და უცხო ენაში (ფრანგული) მიჭირდა, თორემ სხვა საგნები ბათუმშიც წარჩინებით შემეძლო შესწავლა.

შესანიშნავი მასწავლებლები მუშაობდნენ ბათუმის საბაზო-სანიმუშო სკოლაში. ბევრის ნათელი ხსოვნა დღემდე მომყვა. მათ შორისაა თინათინ სიხარულიძე, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა, ისტორიის მასწავლებელი მჟავია და სხვები. განსაკუთრებით დამამახსოვრდა გეოგრაფიის მასწავლებელი ნადია ჯიბუტი, რომელიც იმავე დროს რუსთაველის სახელობის ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტშიც (პირველი დირექტორი ნაკაიძე) კითხულობდა ლექციებს.

ნ. ჯიბუტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტი დაამთავრა და ცოლად გაჰყვა იმავე ფაკულტეტის ახალგაზრდა ლექტორს, ნადიმ ნიჟარაძეს.

ახალგაზრდა მეუღლეებმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბათუმს მიაშურეს, სადაც დაიწყეს მუშაობა.N6. ნიჟარაძე მალე დაანინაურეს და განათლების მინისტრი გახდა, ხოლო ნ. ჯიბუტი ბათუმის საბაზო-სანიმუშო სკოლის მასწავლებელი და ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ლექტორი. ქალბატონისათვის ეს დიდი წარმატება გახლდათ.

ამიერიდან მისი ცხოვრება იმ გზით უნდა წარმართულიყო, რომელიც პროფესორობასთან მიიყვანდა.

დიდი ოჯახის, კვლევა-ძიების და პედაგოგობის შეთავსება არ იყო იოლი საქმე, მაგრამ ქალბატონ ნადიას ესენი უნდა შეეთავსებინა.სხვა გზა არ ქონდა და მან თითქმის შეუძლებელი შეძლო, შესანიშნავად ააწყო ცხოვრება.

ქალბატონი ნადია კარგი პედაგოგიც ბრძანდებოდა. თავისი ღრმა ერუდიციითა და ტაქტიკით ის მოსწავლეთა დიდი ნაწილის სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

სამწუხაროდ, მაშინ დიდხანს აღარ დავრჩენილვარ ზღვისპირეთში. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, მამაჩემმა ისევ დამაბრუნა ზემო გურიაში და ჩოხატაურის აკადემიკოს ნ. მარის სახელობის საშუალო სკოლაში (დირექტორი იონა ტრაპაიძე) განვაგრძე სწავლა. მაგრამ მასწავლებელთა ის სიყვარული, რომელიც ბათუმიდან გამომყვა, დიდხანს მითბობდა გულს.

1944 წელს დავამთავრე ჩოხატაურის საშუალო სკოლა და უფალმა კვლავ ბათუმში ინება ჩემი დაბრუნება.

იმავე წელს სწავლა დავიწყე მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის ბათუმის სასწავლო პუნქტში. სწავლა არ მიჭირდა და სახელიც მალე მოვიხვეჭე.

ჩემი ბათუმს დაბრუნება ქალბატონმა ნადიამაც შეიტყო და სტუდენტობა მომილოცა. 1945 წელს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლა მოვინდომე და გეოგრაფიის გამოცდაზე ქალბატონ ნადიასაც შევხვდი.

ამიერიდან ის არამარტო სიყვარულით მიგონებდა როგორც ყველა მოს-

წავლეს, არამედ ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩემს წარმატებებსაც. განსაკუთრებით გაახარა საქართველოს სტუდენტთა პირველ კონფერენციაზე (ქუთაისი) ჩემმა წარმატებამ.

ამას მალე ჩემი ასპირანტობა და ასისტენტობაც მოჰყვა. Oორი დიდი სიხარული მომილოცა და დიდ გზაზე შედგომაც დამილოცა.

1953 წლის 19 მაისს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატიც გავხდი და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც მიმიწვიეს.

ყველაფერი ამით ქალბატონი ნადია და ბატონი ნადიმიც ძალიან გახარებულნი იყვნენ. ყველაფერს ვინ ჩამოსთვლის, მაგრამ საწუთრო რა იქნებოდა, თუ სიხარულს შხამსაც არ შეურევდა დრო და დრო და ნადიმიც გარდაიცვალა. ერთი წლის თავზე ოჯახმა მისი მოგონების საღამო გამართა და თამადობა მე მომანდო.

საღამოს ბათუმის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილთან ერთად მარად კეთილად მოსაგონარი ჭაბუა ამირეჯიბი და რეჟისორი რობიკო სტურუაც ესწრებოდნენ.

პროფესორ ნ. ნიჟარაძის ოჯახი ჯერ კიდევ ჭაბუა ამირეჯიბის პაპის, მიხეილ ნაკაშიძის სახლში ცხოვრობდა და თბილისელი სტუმრებიც ამ გზით მოხვდნენ პროფესორ ნ. ნიჟარაძის მოგონების საღამოზე. მოსაგონარს რა გამოლევს, მაგრამ ერთი რამ რომ მაიც არ გავიხსენოთ არ შეიძლება.

1995 წელს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ერთი ფაკულტეტი (ისტორიის) ჩოხატაურში გაიტანა. ბამ ფაკულტეტის მუშაობაში ქალბატონი ნ. ჟიბუტიც მონაწილეობდა და ამის გამო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ის პროფესორად აირჩია. რამდენი წელია ის საწუთროში აღარაა და ზღვისპირეთში განისვენებს. უფალმა გაანათლოს!!!

ნადიმ ნიჟარაძე

(მოგონება)

შესანიშნავი პიროვნება და გეოგრაფოსი, პროფესორი ნადიმ ნიჟარაძე, 1938 წლის დამდეგს გამაცნო მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ნადია ჯიბუტმა, რომელიც ჩემი მასწავლებელი ბრძანდებოდა ბათუმის საბაზო სკოლაში.

— იმედია კარგად ისწავლი ყმაწვილო და კარგი პიროვნებაც დადგები — მითხრა ეს, თავზე ხელი გადამისვა და დამემშვიდობა.

მერე ხშირად ვხვდებოდი ქუჩაში და მორიდებით ვესალმებოდი ხოლმე. ასე გაგრძელდა 1939 წლის მიწურულამდე, ვიდრე მამაჩემი ისევ ზემო გურიაში დამაბრუნებდა მეორე მსოფლიო ომის განვითარებით დაფიქრებული.

გავიდა წლები და 1944 წლის შემოდგომაზე ისევ დავუბრუნდი ზღვისპირეთს, მაგრამ ახლა როგორც სტუდენტი.

მაშინვე ვინახულე ჩემი მასწავლებელი და ჩემი გასტუდენტებაც ვახარე.

— კარგია იურისტობა რომ აგირჩევია, მაგრამ მე მეგონა შენ ამას გეოგრაფობას ამჯობინებდი და კარგი პედაგოგიც იქნებოდი. მითხრა მან ერთგვარი გულისტკენით.

მან არ იცოდა, იურიდიული ჩემი არჩევანი კი არ იყო, არამედ გვიან ჩავედი ბათუმს და პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლა უკვე იყო დაწყებული, კარები ღია მხოლოდ მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის ბათუმის სასწავლო პუნქტში დამხვდა და სხვა გზა რომ არ მქონდა, იმას მივადექი.

აქ დავრჩი მხოლოდ ერთ სასწავლო წელს (1944-1945).

1945 წელს უკვე ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტიდენტი გავხდი (აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მითითებით). რადგან ამ საქმეში ასეთი დიდი და წმინდა კაცი ერთია, ჩემს მასწავლებლებს საყვედური არ უთქვამს.

1949 წელს წარჩინებით დავამთავრე ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის მისაღებ გამოცდებში ვცადე ბედი.

იმავე წლის ოქტომბრის ბოლოს დამთავრდა გამოცდები და 14 დღის შემდეგ (1949 წლის 14 ნოემბერი) ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექორმა, ბატონმა ნადიმ ნიჟარაძემ ხელი მოაწერა ბრძანებას ჩემი ასისტენტად დანიშვნაზე.

Pპროფესორი ნ. ნიჟარაძე გაბედული კაცი ბრძანდებოდა, თორემ სხვას, ალბათ, ძალიან გაუძნელდებოდა ასე ახალგაზრდა კაცის (4 თვის წინ სტუდენტი გახლდით) ასისტენტად დანიშვნა. ასე ზურგგამაგრებულმა საკანდიდატო დისერტაციაც დროზე დავიცავი (1953 წლის 19 მაისი) და ბატონმა ნადიმმა ისევ ბათუმში მიმიწვია.

ჩემი ხემძღვანელი აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილი ძალიან გაახარა ნ. ნიჟარაძის მოქმედებამ და გულითადად დამილოცა გზა ბათუმისაკენ. ბათუმში - 1956 წლის ნოემბრამდე დავრჩი, შემდეგ თბილისს დავბრუნდი ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

მიუხედავად ამისა, ბათუმში მაინც ხშირად გახლდით, სადაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელმძღვანელი აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილი) გახლდით ჩარიცხული და ბატონ ნადიმსა და ქალბატონ ნადიასაც ხშირად ვხვდებოდი.

იმ დროს ბატონი ნადიმი საქართველოს საგეოგრაფიო საზოგადოების აჭარის ორგანიზაციასაც ედგა სათავეში და სხდომებზეც ხშირად მიწვევდა. ჩემთან ერთად იწვევდა პროფესორ დავით კომახიძესაც. ჩვენ სამნი ძალიან ვიყავით დაკავშირებულნი და სად არ გავდიოდით სამეცნიერო მიზნით. ერთხელ პატარა იუბილეც კი მოვუწყვე ბატო ნადიმს ჩოხატაურში, რითაც ის ძალიან ნასიამოვნები დარჩა.

ბატონ ნადიმს ზემო გურიაში ძალიან უყვარდა სოფელი შუაგანახლება (ამდროინდელი შუაამაღლება), საიდანაც გახლდათ მისი მეუღლე, დოცენტი ნადია ჯიბუტი. სამწუხაროდ, პროფესორი ნ. ნიჟარაძე ნაადრევად გარდაიცვალა. დაკრძალულია ბათუმის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ღვაწლმოსილი პიროვნებების გახსენება დიდი მადლია. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს.

მამია დუმბაძე

1947 წლის ერთ მშვენიერ დღეს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის აუდიტორიის კარი ახალგაზრდა ლექტორმა შემოაღო. ის დოცენტი მამია დუმბაძე (1915-1990) გახლდათ (შემდეგ პროფესორი დასაქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდეტი).

მან პსოფესორი სერგის კაკაბაძე (1886-1967) შეცვალა. ჩვენ ძალიან გვსურდა პროფესორი პროფესორს შეეცვალა, მაგრამ იმ დროს ამდენი პროფესორი სად იყო და ისევ დოცენტს უნდა მივნდობოდით.

ორიოდე დღის შემდეგ სასტუმროშიც ვეწვიე და მალე გავუშინაურდი კიდეც. პატივცემული დოცენტი ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობ "ინსტურისტში" კი არ ბრძანდებოდა, არამედ რკინიგზის ვაგზალის ახლოს მდებარე "პირველ მაისში" როდესაც ვესტუმრე ივ. ჯავახიშვილის "ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნი ედო წინ.

მცირეოდენი საუბრის შემდეგ რეფერატის თემად "ბათუმის უძველესი წარსული" შევთავაზე. მომიწონა და როდესაც დავამთავრე, ისევ იმავე სასტუმროში მივუტანე სარეცენზიოდ.

რეფერატი ალაგ-ალაგ ჩაასწორა და პატარა რეცენზიით დამიბრუნა. ამასობაში ინსტიტუტის სტუდენტთა კონფერენცია გაიმართა და იქ ნავიკითხე. მოგვიანებით ეს რეფერატი თანდათან შეივსო და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებშიც დაიბეჭდა.

1949 წლის 14 ნოემბერს მ. დუმბაძის ასისტენტად დამნიშნეს, ხოლო 1953 წლის აგვისტოს ბოლოდან შევცვალე კიდეც. მისი ყურადღება არასოდეს მომკლებია. 1953 წლის 19 მაისს ის იყო ჩემი ერთ-ერთი ოპონენტი, როდესაც საკანდიდატო დისერტაციას ვიცავდი ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში (თემა: "გურიის 1841 წლის აჯანყება" —ხელმძღვანელი აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, კონსულტანტი აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი).

ბატონი მამია იმავე საღამოს ჩემს ქორწილსაც დაესწრო და კარგი სიტყვაც წარმოთქვა. მალე ის მეცნიერების დოქტორი და პროფესორიც გახდა და ჩემს სადოქტორო მუშაობასაც ყურადღებით ადევნებდა თვალს.

1967 წელს თბილისში დაიბეჭდა ჩემი სადოქტორო ნაშრომი "ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV საუკუნეებში", რომლის რედაქტორი ბატონი მამია ბრდძანდებოდა. ბატონი მამია ბრძანდებოდა ჩემი სადოქტორო პაექრობისადმი მიძღვნილი სადილის თამადაც. მანვე ამიბ ამხარი, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1983 წლის არჩევნებში წარმადგინეს. მისი გვერდის ავლით არც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 1987 წლის არჩევნებში ვყოფილვარ წარდგენილი.

შესანიშნავი პიროვნებ აგახლდათ, მის ამაგს ვინ გადაიხდის. უკანასკნელად იაშვილის კლინიკაში ვნახე, როდესაც მკურნალობდა. გარდაიცვალა 1990 წელს, დაკრძალეს თბილისის საბურთალოს პანთეონში. გამოსათხოვარი სიტყვების მთქმელთა შორის მეც გახლდით.

მის სახელოვან ძმისშვილთან (ნოდარ დუმბაძე) ერთად მანაც დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს, რომელსაც ღირსეულ პატივს მიაგებს მომავალი თაობები.

სიმონ ყაუხჩიშვილი

გამოჩნილ ქართველ ელინისტსა და ქართველოლოგს, პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილს თვისი ნაშრმებით სტუდენტობის პირველ წლებში გავეცანი, ხოლო პირადად 1947 შევხვდი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაშინ ამ ინსტიტუტის დირექტორი ბრძანდებოდა დოცენტი ვახტანგ პარკაძე, რომელმაც ოცამდე პროფესორი ჩამოიყვანა ბათუმში. მათ შორის პროფესორი ყაუხჩიშვილიც გახლდათ.

ბატონი სიმონი ისტორიის ფაკულტეტზე ბიზანტიის ისტორიას კითხულობდა. იმ დროს მემეორე კურსზე ვიყავი და ბერძნული ენის შესწავლითაც გახლდით დაინტერესებული.

რადგან ქალაქში ბერძნული ენის მასწავლებელს ვერ მივაკვლიე, ჩემს მეგობარს, ბერძენ სტუდენტს, ნიკოლოზ მურადოვს ვთხოვე დახმარება. მურადოვს ესიამოვნა ჩემი ასეთი დაინტერესება და წიგნიც მომიტანა და თვითინაც ხალისით მასწავლიდა.

ბატონი სიმონი ზედა სართულზე კითხულობდა ლექციებს, ამიტომ იქ დავხვდი ლექციის დაწყების წინ და ვთხოვე გაესინჯა ჩემი მუშაობა ბერძნულ ენაში.

პროფესორს ესიმაოვნა ჩემი ასეთი დაინტერესება და იმავე საღამოს ინტურისტის სასტუმროში დამინიშნა შეხვედრა. მანამდე ლექციაზეც მიმიპატიჟა და იმ დღეს პირველად ვეზიარე ბიზანტიის ისტორიის ლექციებს. ზოგი რამ ცნობილიც იყო ჩემთვის, რადგან ?კვე ვიცნობდი ბატონ? სიმონის -,,ვესტნიკის " ზოგ წიგნს.

იმის გაბედულებაც არ მაკლდა, რომ ზოგჯერ ადგილიდანაც შევხმიანებოდი ლექტორს. მალე შევატყვე, რომ მას ეს კი არ სწყინდა, არამედ, პირიქით, უხაროდა კიდეც, რადგან აუდიტორიაში ერთი სტუდენტი მაინც აღმოჩნდა, რომელიც იცნობდა ბიზანტიის ისტორიის მისეულ თარგმანს.

რადგან ლექციები დღის მეორე ნახევარში გვქონდა ცხრა საათამდე ვეღარ ვეახელი ბატონ პროფესორს. ამაზე მას არაფერი უთქვამს, რადგან კარგად იცოდა რისი ბრალიც იყო.

-ახლა წავიდეთ სავახშმოდ და შენი ბერძნული მერე გავსინჯოთო — ბრძანა მან და ინტურისტის რესტორნისაკენ გავეშურეთ.

ეს რესტორანი ბავშობაშიც მინახავს, მაგრამ იქ არასოდეს მისადილია აქამდე და თ?ვს ბედნიერად ვთვლიდი. ვივახშმეთ და უკან გავბრუნდით. უკვე ღამის 11 საათი გახლდათ.

ეს დრო ბატონ პროფესორსაც სრულებით არ აშინებდა, რადგან იგი თითქმის ყოველდღე ღამე დიდხანს მუშაობდა.

პალატაში მან გამომართვა ბერძნულის ის წიგნი, რომელიც მე მქონდა და ჩემი სამუშა? რვეულიც, გადაათვალიერა და მითხრა: -არ გეწყინოს, მაგრამ ეს არც ძველი ბერძნულია და არც ბიზანტიური, ეს ახალი ბერძნულია. ამიტომ შენ ჯერ ძველი ბერძნულის შესწავლით უნდა დაიწყო. როდესაც მე ჩამოვალ მე წაგიძღვები, როდესაც მე არ ვიქნები, მაშინ ჩემს მოწაფეს, დოცენტ პანტელეიმონ ბერაძეს (შემდეგ პროფესორი) ვეტყვი იმან გააგრძელოს სწავლება.

-დღეს ეს ვიკმაროთ, უკვე გვიანია და შემდეგ ვეცადოთ უფრო ადრე დავიწყოთ მეცადინეობა.

ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთი უბედნიერესი დღე, დავწექი, მაგრამ ძილი დიდხანს არ მომეკარა.

მეორე დღეს ჯერ ბატონ? სიმონის ლექციებს დავესწარი, ხოლო საღამოს ისევ „ინტურისტს" ვეწვიე. ჩემი პატივცემული მასწავლებელი ისევ „ძველი ბერძნული ლიტერატურის" ტომეულებზე მუშაობდა. მცირე საუბრის შემდეგ კვლავ რესტორანში წამიყვანა სავახშმოდ, შემდეგ კი მეცადინეობა გაგრძელდა.

მესამე საღამოს მეცადინეობა აღარ შედგა, რადგან პროფესორი თბილისს მიემგზავრებოდა. მაგრამ მაინც მივედი „ინტურისტში" და ძალიანაც გავახარე მასწავლებელი. ერთადერთი გამცილებელი ვიყავი, მაგრამ ის ამას სრულებით არ განიცდიდა.

მითხრა, შემდეგ კვირაში პანთელეიმონ ბერაძე ჩამობრძანდება და ის გაგრძელებს ბერძნულ ენაში მეცადინეობებს. ასეც მოხდა.

როდესაც შევხვდი მას, ვუთხარი ვინც გახლდით და მანაც იმავე „ინტურისტში" დამინიშნა შეხვედრა. შესანიშნავი პიროვნება ბრძანდებოდა ბატონი პანტელეიმონი, მაგრამ ცოტა ფიცხი. ის ბატონი სიმონივით იოლად როდი იტანდა შეგირდის შეცდომებს ძველი ბერძნული სიტყვების წარმოთქმისას.

მეცადინეობის დაწყებამდე მან ჯერ მეგამომკითხა ვინაობა, ხოლო შემდეგ თავისიც ბრძანა: - ვარ ზემოგურული ბერაძე, სოფელ ქვემოჯვარცმიდან. ახლა „ჩაისუბანს" უწოდებენ.

შენ, როგორც გოგოლესუბნელს არ შეიძლება არ იცოდე ეს სოფელი.

- ჩოხატაურის საშუალო სკოლაში სწავლისას არა ქვემო ჯვარცმას, რაიონის ბევრ სხვა სკოლაშიც ვყოფილვარ, მათ შორის ზემო სურებში, თავსურეთს, ჩხაკოურას და ა. შ.

- მაშინ შენ, ალბათ, სამეცნიერო თვალით არუ ცქეროდი იმ სოფლებს, მაგრამ მოგზაურობა მაინც გაძლევდა რაღაცასო.

რამდენი?? დღის შემდეგ ისიც გაემგზავრა თბილისს და ბატონი სიმონის ლოდინის ერთი „გრძელი კვირა" დადგა. ენაში მეცადინეობის გარდა იგი ძველი საბერძნეთისა და ბიზანტიის ისტორიის მოვლენებზეც მესაუბრებოდა დროდადრო. ამასობაში საკონფერენციო თემის არჩევის დროც მოვიდა.

მე მას ციხისძირის ციხე (ბიზანტიური სახელით „პეტრა", ქართული -„ქაჯეთი") შევთავაზე. მოიწონა.

ეს თემა ინსტიტუტში წავიკითხე, ხოლო შემდეგ საქართველოს პედაგოგიურიდა სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე. ეს კონფერენცია 1944 წლის მარტში გაიმართა. ჩემი მოხსენება კონფერენციის პირველი პლენარული სხდომის ღირსად ჩათვალეს და იმ დღეს მე-4 მომხსენებლად მარგუნეს გამოსვლა.

ზეპირად გამოვდიოდი ხოლმე. ქუთაიშიც ასე მოხდა. დიდმა აუდიტორიამ მომიწონა გამოსვლა და ტაშით დამაჯილდოვა. არც შეკითხვებისას მომხდარა რაიმე გაუგებრობა. მდგომარეობა მხოლოდ პროფესორმა სარგის კაკაბაძემ გაართულა, მან არაფრად ჩააგდო აუდიტორიის აზრი და თითქმის სულ გადაუსვა ხაზიჩ ემს შრომას, მართალ იგითხრათ ამას არ მოველოდი. ბატონი პროფესორი ჩემი რამდენიმე რეფერატის ხელმძღვანელი ბრძანდებოდა, როდესაც ბათუმში მუშაობდა. ის მაქებდა კიდეც, მაგრამ ახლა, როდესაც ჩემი ხელმძღვანელი სხვა აღმოჩნდა, არ დამინდო. მაგრამ ამას მე არ შევუშინდი და ისევ გაბედულად დავარღვიე მისი მოსაზრებები, რომ კვლავ ტაში მივიღე საჩუქრად. პროფესორი ისევ აღარ გამოსულა. ჩემი ქუთაისური წარმატება კი თბილისმაც შეიტყო.

მილოცვები ბათუმშიც გაგრძელდა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმაც დამიბარა თბილისში. ამან ძალიან გაახარა ჩვენი ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი ვახტანგ პარკაძე და თბილისაც ღირსეულად გამაგზავნა. ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა (აკადემიკოსი ნ.ბერძენიშვილი) კარგად მიმიღო და მითხრა: - არავითარი ბიზანტია , შენ საქართველოს ისტორიის ასპირანტი უნდა გახდე და შემოდგომაზე უნდა მიიღო მონაწილეობა კონკურსში. ასე დამთავრდა ჩემი ბიზანტიის ისტორიის ასპირანტობაზე ზრუნვა და საქართველოს ისტორიის ასპირანტთა საკადემიო გამოცდისათვის დავიწყე მზადება.

ბატონი სიმონი ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი გახლდათ და საჯაროდ ამის წინააღმდეგ არაფერი უთქვამს. ასპირანტურაში ჩემი ხელმძღვანელი უკვე აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი ბრძანდებოდა, მაგრამ მე მაინც წინანდებურად ვხვდებოდი ჩემს დაუვიწყარ მასწავლებელს.

ამას არც ნ. ბერძენიშვილი ეწინააღმდეგებოდა, პირიქით, 1960 წლის აპრილში სადოქტორო ნაშრომი რომ წარვადგინე ისტორიის ინსტიტუტში, პროფესორი ყაუხჩიშვილი რეცეზენტად დაინიშნა და საინტერესო შეფასება მისცა მას.

ბატონი სიმონი ბრწყინვალე პიროვნება და მეცნიერი ბრძანდებოდა, მის ნათელი ხსოვნა სამარემდე მიყვება მის ყველა მოწაფეს, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორს.

ნაზი კეჭაყმაძე

საქართველოს სახალხო არტისტს ნაზი კეჭაყმაძეს ძალიან უყვარდა თავისი ქმრის, საქართველოს დამსახურებული არტისტის მიხეილ ჯალაღანიას სოფელი გოგოლესუბანი და მეუღლესთან ერთად ხშირად სტუმრობდა მას.

გამოჩენილ თეატრის მოღვაწეებს იქ ეგულებოდათ დიდი მომღერლის, მიხეილ ჯალაღონიას ბიძა ერმალო სიხარულიძე (1888-1963) და მისი განათლებული ოჯახი.

ამ ბედნიერებას მწუხარების დიდი ღრუბელი დაანცა 1963 წელს, როცა ბატონი ერმალო გარდაიცვალა. მალე ამას (1967 წელს) შესანიშნავი მსახიობის და რეჟისორის მ. ჯალაღონიას გარდაცვალება მოჰყვა.

ამ დიდი მწუხარების მიუხედავად ნაზი კეჭაყმაძე არ ივიწყებდა გოგოლესუბანს და ერ. სიხარულიძის ოჯახს და შვილთან, მხატვარ თამაზ ჯალაღონიასთან ერთად ხშირად სტუმრობდა მათ.

ახლა უკვე მისი მასპინძელი იყო ერმალო სიხარულიძის ვაჟი, აგრონომი და მომღერალი ვალერიან სიხარულიძე და მისი შესანიშნავი მეუღლე.

მ. ჯალაღონიას ძალიან ეწადა გოგოლესუბანში საკუთარი სახლი ჰქონოდა. ამისათვის ბიძამ სამოსახლო ადგილი გამოუყო თავისი საკარმიდამოს სამხრეთ ნაწილში, მაგრამ სიცოცხლეში იქ სახლის აგება ვერ მოახერხა.

ამ დიდ საქმეს მხოლოდ მისმა მეუღლემ ნაზი კეჭაყმაძემ მოაბა თავი. აშენდა მშვენიერი სახლი პატარა, ლამაზი ეზოთი, რომლის აღმოსავლეთით მთის შესანიშნავი პატარა ნაკადული „რუწითელა" ჩამოუჩუხჩუხებდა, ხოლო სამხრეთით დიდი სათემო შარა მიემართებოდა ასფალტით დამშვენებული.

სოფელს ძალიან ახარებდა სახალხო არტისტის ნ. კეჭაყმაძის ეს წარმატება. ის ყველას უყვარდა გოგოლესუბანში. იყო სოფლის სკოლის ხშირი სტუმარი და გოგოლესუბნის მაცხოვრებელთა ჭიშკრებსაც ააჭრიალებდა ხოლმე ხანდახან.

სამწუხაროდ სახალხო არტისტს სახლის აშენების შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია.

დაკრძალულია ბათუმში.

ქალბატონმა ნაზიმ წარუშლელი ღვაწლი დასდო ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის და ჩოხატაურის სახელმწიფო თეატრებს.

უდროოდ გარდაცვლილა ნ. კეჭაყმაძის ვაჟიც, თამაზიც და ამ ახალმა სახლმა ასე ზედიზედ დაკარგა თავისი ბინადარნი, რომელთა სახელებს ისტორია სათუთად შეინახავს.

ვამაყობ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე

უნივერსიტეტი, რომელიც 1991 წლამდე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად იწოდებოდა, 61 წლის წინ დავამთავრე. 1950 წელს, აჭარის წყლის სახელმწიფო პედსასწავლებლის წარჩინებით დამთავრებისთანავე, უგამოცდოდ ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1954 წელს ასევე წარმატებით დავამთავრე.

წელს უნივერსიტეტი იუბილარია — მას დაარსების 80 წელი შეუსრულდა. ეს ღირსშესანიშნავი თარიღია ყველა იმათ ცხოვრებაში, ვინც ინსტიტუტი დაამთავრა და ამ ინსტიტუტში მოღვაწეობს. სამწუხაროდ, მათგან დღეს ცოტანი შემოვრჩით და გვახარებს, რომ ამ იუბილეს მოვესწარით. პირადად მე, როგორც ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებულს, ბევრი მოსაგონარი და სათქმელი დამრჩა ინსტიტუტში სწავლებისა (1950—1954 წლები) და აქ პედაგოგიური მოღვაწეობის (1970—2010 წლები) პერიოდიდან.

ბევრჯერ გაგვიგონია და დღესაც გვესმის, რომ მავანმა და მავანმა МГУ (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბაუმანი (მოსკოვის უმაღლესი სასწავლებელი),თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიან თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტიდაამთავრა. მაშინ ამ უმაღლესი სასწავლებლების დამთავრება საამაყოდ და პრესტიჟულად ითვლებოდა. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ პირადად მე იმით ვამაყობ, და ამას გულწრფელად ვამბობ, რომ დავამთავრე ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც 1938 წლიდან შოთა რუსთაველის სახელს ატარებს. იმითაც ვამაყობ, რომ ისტორიკოსი გავხდი, შემდეგ ეთნოგრაფის (ეთნოლოგის) სპეციალობას დავეუფლე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში და ისტორიული მეცნიერების ამ დარგში დავიცავი ჯერ მეცნიერების კანდიდატის (1967), შემდეგ კი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის (2001) სამეცნიერო ხარისხები. მოხარული ვარ იმითაც, რომ ჩემი საქმიანობით მცირეოდენი წვლილი მაინც შევიტანე ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში. ინსტიტუტში მიღებულიცოდნა ამაში დიდად დამეხმარა.

ინსტიტუტში რომ შევედი, მაშინ იგი თავისი არსებობის 15 წლისთავს ითვლიდა. ინსტიტუტი ჩამოყალიბდა 1935 წელს დაარსებული ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბაზაზე, როგორც მისი სამართალმემკვიდრე, ამიტომაცახლადდარსებული პედინსტიტუტი ადგილობრივ ლექტორ—მასწავლებელთა ნაკლებობას განიცდიდა. ასე იყო ჩვენი სტუდენტობის დროსაც, როდესაც ისტორიის ფაკულტეტზე (იგი ინსტიტუტის დაარსების დღიდან არსებობდა) ლექციებს კითხულობდნენ მოწვეული ლექტორები, დოცენტები: ვარლამ დონაძე (ახალ ისტორიაში), მამია დუმბაძე (საქართველოს ისტორიაში), დავით ჩხარტიშვილი (შუა საუკუნეების ისტორიაში), პროფესორი ვლადიმერ ნორაკიძე (ფსიქოლოგიაში). ადგილობრივი ლექტორებიდან ჩვენს კურსზე ლექციებს კითხულობდნენ დოცენტები: კასიანე ბაბილოძე და სერგო ქუთათელაძე (პოლიტეკონომიაში), გრიშა ბაბილოძე (პედაგოგიკაში), გრიშა ჯიჯიეშვილი (პარტიის ისტორიაში), დომენტი კილაძე (ისტორიულ და დიალექტიკურ მატერიალიზმში), ჯემალ ცივაძე (სამართლის საფუძვლებში). ჩემს მეხსიერებას განსაკუთრებით ნათლად შემორჩა დოცენტების: ნიკო ჭეიშვილისა (1947—11962 წლებში ისტორიის კათედრის გამგედ მუშაობდა) და პარმენ ცქვიტარიას ლექციები სსრკ ისტორიაში; დოცენტ სევერიანე ყალიჩავას და უფროსი მასწავლებლის - ვუკოლ იაშვილის ლექციები ახალ და უახლეს, ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში, ისტორიის სწავლების მეთოდიკაში. აღსანიშნავია მათი მომთხოვნელობა, ობიექტურობა სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას. მათი წყალობით შევითვისეთ წიგნზე, წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობისა და სამეცნიერო სტატიების მომზადების უნარ-ჩვევები, რაც მთავარია, იმის პასუხისმგებლობა, რომ სტუდენტი ლექცია—პრაქტიკულებზე მოუმზადებელი არ უნდა მისულიყო. ნიკო ჭეიშვილისა და ვუკოლ იაშვილის რჩევითა და ხელმძღვანელობითამოვამზადე პირველი საინსტიტუტო საკონფერენციო თემები შამილის ხელმძღვანელობით მთიელი ხალხების ბრძოლასა და აჭარაში ისლამის გავრცელების შესახებ. მესამე საკონფერენციო მოხსენება კი მოვამზადე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ აჭარაში ასისტენტ მამია სულეიმანოვის ხელმძღვანელობით, რომელიც მთლიანად საარქივო მასალებსემყარებოდა. პირველმა და მესამე მოხსენებებმა, რომლებიც ადრე ინსტიტუტის სტუდენტთა მეცხრე და მეათე სამეცნიერო კონფერენციებზე იქნა წაკითხული, მოწონება დაიმსახურა და წარდგენილ იქნა გორსა (1953 წ.) და ქუთაისში (1954 წ.) გამართულ საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების V-VI სამეცნიერო კონფერენციებზე, სადაც ასევე კარგი შეფასებები მიიღო.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სტუდენტობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას. სტუდენტთა დაინტერესებაც ამ საქმეში დიდი იყო. მაგონდება ისიც, რომ ბიბლიოთეკებში წინასწარ ვეცნობოდით სამეცნიერო კონფერენციებზე წასაკითხი მოხსენების ირგვლივ არსებულ ლიტერატურას (მოხსენებათა გეგმა და თეზისები კონფერენციამდე იბეჭდებოდა), რათა კითხვები მოგვემზადებინა და მოხსენებათა განხილვაშიც აქტიური მონაწილეობა მიგვეღო.

1954 წელს ისტორიის ფაკულტეტი 39 სტუდენტმა დავამთავრეთ. მათ შორის 26 დასწრებული, 13 დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი იყო. ეს ისტორიის ფაკულტეტის მეშვიდე გამოშვება იყო. კურსდამთავრებულთაგან ბევრი მასწავლებლობას ეწეოდა აჭარისა და გურიის სხვადასხვა სკოლებში, ზოგიც მოგვიანებით პარტიულ-კომკავშირულ, სამეურნეო და სხვა საქმიანობას მისდევდა.

უნივერსიტეტის 80 წლისთავის გადასახედიდან ისიც მეამაყება, რომ 1970—1990 წლებში მიწვევით (საათობრივი ანაზღაურების წესით), ხოლო 1991—2010 წლებში ძირითად შტატში ისტორიისა და ჟურნალისტიკის სპეციალობებზე ლექციებს ვკითხულობდი შუა საუკუნეებისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში, საქართველოსა და ზოგად ეთნოლოგიაში, ისტორიულ მხარეთმცოდნეობაში, სხვადასხვა სპეცკურსსში. 1990-იანი წლებიდან მე ჩავუყარე საფუძველი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ეთნოლოგიის სალექციო კურსს, რომელიც მანამდე საერთოდ არ იკითხებოდა. 1975 წელს უმაღლესმა სააატესტაციო კომისიამ მომანიჭა დოცენტის წოდება შუა საუკუნეების ისტორიაში. ამასთან დაკავშირებით მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი პარმენ ცქვიტარია, რომელმაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, კათედრის სახელით პირადად აღძრა შუამდგომლობა აღნიშნული კომისიის წინაშე დოცენტის წოდების მონიჭებაზე. 2004 წელს პროფესორად, ხოლო 2009 წელს სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ამირჩიეს. წლების მანძილზე ვხელმძღვანელობდი ისტორიის სპეციალობის სტუდენტთა საველე პრაქტიკებს, მეთოდკომისიას საქართველოს ისტორიის კათედრა-ზე. ჩემი ხელმძღვანელობით ათეულობით ისტორიკოსმა სტუდენტმა, რამდენიმე მაგისტრანტმა მოამზადა თემები სამეცნიერო კონფერენციებისათვის, ხოლო უნივერსიტეტის ორმა ასპირანტმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ეთნოლოგიაში. ასევე ვხელმძღვანელობდი საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებას. უნივერსიტეტის 75 წლისთავთან დაკავშირებით, უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული მაქვს საპატიო სიგელი.

ამგვარად, საიუნივერსიტეტო ცხოვრებაში, რომლის 80 წლისთავის იუბილე მალე აღინიშნება, ჩემი, როგორც ამ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, მოკრძალებული წვლილიც არის.

გულითადად ვულოცავ უნივერსიტეტს, მის სტუდენტობას, ლექტორთა შემადგენლობას, მის მთელ კოლექტივს ამ სახელოვანი წლისთავის იუბილეს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს. განვლილი წლების განმავლობაში უნივერსიტეტმა განუზომელი წვლილი შეიტანა პედაგოგთა და სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, კულტურულ და სამეცნიერო ცხოვრებაში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავაც ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართულ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

ნოდარ კახიძე
უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1954 წლის კურსდამთავრებული, ყოფილი ლექტორი, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თაობათა შეხვედრა

1961 წლის 25 ივნისს დავამთავრეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის (ქართ. განყოფილება) ფაკულტეტი 39 სტუდენტმა. ოცი წლის შემდეგ კურსის საორგანიზაციო ჯგუფმა (ლეილა ლეონიძე, ალ. დავითაძე, გიორგი კირკიტაძე, ეთერი მამასახლისი, სერგო დუმბაძე) გადავწყვიტეთ თანაკურსელთა შეხვედრა მშობლიურ ინსტიტუტში. ამასთან დაკავშირებით საკითხი შევუთანხმეთ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, - რექტორს (პროფ. დ. ბალაძე), პარტბიუროს, (დოც. ბ. დიასამიძე). ბატონმა ბიჭიკო დიასამიძემ შემომთავაზა, რომ რაკი თქვენი შეხვედრა ინსტიტუტში უნდა მოეწყოს, მოდით გავაფართოოთ ეს ღონისძიება, დავარქვათ, „თაობათა შეხვედრა“, რომელიც იქნება 1981 წელს ინსტიტუტში ჩარიცხულ პირველკურსელებთან 1961 წლის ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა შეხვედრა. მართლაც გრანდიოზული, მასშტაბური ღონისძიება გამოვიდა.

1981 წლის 26 ივნისს ინსტიტუტის ეზოში საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მოწვეული სტუმრებისა და 1961 წლის კურსდამთავრებულების მიღება გაიმართა. ღონისძიების ორგანიზებაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა ფაკულტეტების დეკანები და კათედრების გამგეები, ასევე ცალკეული თანამშრომლები. სასწავლებლის ეზოში, შოთა რუსთაველის ძეგლის გარშემო ხალხმრავლობამ ინსტიტუტს უჩვეულო, შეიძლება ითქვას, ორიგინალური საზეიმო განწყობა შესძინა. მასპინძლებმა, (ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი დურსუნ ბალაძე, პარტბიუროს მდივანი ბიჭიკო დიასამიძე, პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმდჯომარე ვლადიმერ მოქერია, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ბესიკ ბერიძე), მოწვეული სტუმრები მიიწვიეს ინსტიტუტის სააქტო დარბაზში. დაიწყო „თაობათა შეხვედრის“ ოფიციალური ღონისძიება, რომელსაც ბატონი ბიჭიკო დიასამიძე უძღვებოდა. მოხსენება „თაობათა შეხვედრა“ — გააკეთა დოცენტმა სერგო დუმბაძემ. რომელმაც მონაწილეება გააცნო თაობათა შეხვედრის მთავარი მიზანი - ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა მიერ დაგროვილი გამოცდილების გაზიარება 1981 წლის ინსტიტუტში ჩარიცხული პირველკურსელებისათვის.

სიტყვით გამოვიდნენ წინა თაობის ჯგუფხელები, რომელთაც ისაუბრეს პროფესიული საქმიანობისა და დაგროვილი ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ. დასახელდა წინა თაობის მოწინავე მრავალი სტუდენტი აქტივისტები.

შეხვედრას მიესალმნენ ფაკულტეტის დეკანები: დოცენტები გივი ხუხუნაიშვილი, ლევან აბაშიძე, ოთარ ახვლედიანი. მხცოვანი ლექტორები, ყოფილი რექტორები. დოცენტები: ვლადიმერ ქემხაძე, ნადიმ ნიჟარაძე, იმჟამინდელი რექტორი დურსუნ ბალაძე, პირველკურსელთა სახელით პირობა დადეს ჯგუფხელებმა, რომ დაიცავენ, გაამართლებენ და გააღრმავებენ წინა და უფროსი თაობების სტუდენტთა ტრადიციებს. კარგი სწავლით ასახელებენ მშობლიურ ინსტიტუტს. განსაკუთრებით აქტიურ კურსდამთავრებულებს გადაეცათ საპატიო სამახსოვრო სიგელები. კურსდამთავრებულებმა მადლიერების გამოსახატავად ერთობლივი სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს ინსტიტუტს.

დასასრულს, ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, მადლიერების ნიშნად, კონცერტი გამართა.

ღონისძიების ბოლოს ინსტიტუტის ეზოში მონაწილეებმა გადაიღეს სამახსოვრო სურათები. „თაობათა შეხვედრა“ თავისი მასშტაბითა და დატვირთვით მართლაც იყო ინსტიტუტის ცხოვრებაში ერთ-ერთი გრანდიოზული და მეტად შთამბეჭდავი ღონისძიება, რომელიც დიდხანს გაჰყვება არა მარტო ინსტიტუტის, არამედ ქალაქ ბათუმის ინტელიგენციის მეხსიერებას.

ერთობლივი ღონისძიება დასრულდა რესტორან „ხიხანში“ საზეიმო სუფრასთან შეკრებით.

სერგო ხიხანელი,
თაობათა შეხვედრის ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე, უხუცესი

მოგონებებს რა გამოლევს

ვისაც უმაღლესი სასწავლებელი დაუმთავრებია და ცხოვრების დიდ გზაზე გამოსულა, ყველა მათგანი დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებს სტუდენტობის პერიოდს.

1949 წელს მახარაძის რაიონის (ამჟამად ოზურგეთის რაიონი) სოფელ შემოქმედის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თერთმეტწლიანი სწავლების კურსის დამთავრებისთანავე, სწავლის გასაგრძელებლად წავედი თბილისში და საბუთები შევიტანე ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სპეციალობით. ამ სპეციალობაზე იყო ყველაზე დიდი კონკურსი: ერთ ადგილზე მოდიოდა 12 აბიტურიენტი. უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი გამოირჩეოდა მკაცრი დისციპლინით. საგამოცდო კომისიები დაკომპლექტებული იყო მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით. ჩასაბარებელი საგნები სპეციალობების მიხედვით მაშინდელი გეგმის მიხედვით 6-7 საგანში იყო გათვალისწინებული. ეს იყო თითქმის იმდენი საგანი, რამდენსაც მაშინ საატესტატო გამოცდებზე ვაბარებდით.

გამოცდაზე მაღალი ნიშნები მივიღე და გამსვლელი ქულებით ბევრნი დავრჩით, რის გამოც საქართველოს ს/რ სამინისტრომ გადაგვანაწილა პედაგოგიურ ინსტიტუტებში არჩევის მიხედვით. მე წილად მხვდა ბედნიერება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავრიცხულიყავი ისტორიის სპეციალობაზე და 1949 წლის სექტემბერში დავიწყე სწავლა.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ოთხწლიანი სწავლებით 1945 წლიდან შევიდა ძალაში ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტის ბაზაზე და პირველი გამოშვება 1947 წლის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებისა ამ წელს ჩატარდა. ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა მალე მოიპოვა სახელი და პედაგოგიური მომზადების სამჭედლოდ იქცა.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა შემდეგი სახით იყო: ინსტიტუტის დირექტორი, გეოგრაფი ნადიმ ნიჟარაძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო დარგში ბოტანიკოსი, დოცენტი პ. მგალობლიშვილი, ისტორიათა-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ბატონი პარმენ ჯალაღანია, ისტორიის კათედრის გამგე დოცენტი ნიკოლოზ ჭეიშვილი. სასწავლო ცხრილი სემესტრული იყო, მაგრამ ჩამომსვლელი ლექტორების გამო, ძირითადად კვირეული ცხრილით ვსარგებლობდით, რადგან ზოგიერთი ლექტორი ერთი კვირის განმავლობაში 4-6 საათიან ლექციას ატარებდა ყოველ დღე.

როგორი იყო ისტორიის პირველი კურსი 1949 წელს? სტუდენტთა ნაწილი ყველა სპეციალობაზე ზოგი ომის მონაწილე იყო, ზოგიც სხვადასხვა სამსახურში მუშაობდა და ყველა მათგანს სჭირდებოდა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი. ისტორიის პირველ კურსზე უფროსი ასაკის და სამსახურის მხრივ გამოცდილების მქონენი იყვნენ: ვანო ინწკირველი, მერაბ ანთაძე, ირაკლი ბერიძე, დავით ანთაძე, ივანე პატარაია, გიორგი ურუშაძე, რომლებსაც „ფრონტავიკებს“ ვეძახდით, ხოლო ახალდამთავრებულები ვიყავით მამია ჯიჯიეშვილი, სერგო კაკაურიძე, ჟორა მელიქაძე, ნოდარ პატარაია, ვალოდია მოსიაშვილი, დურსუნ ცინცქილაძე, ალიოშა ვაშალომიძე, ფრიდონ დიასამიძე, გივი ლომინაძე, ნოდარ ჯაში, გივი ხახნელიძე, სოსო ხელაძე, რეზო ხემერი, შუქრი ვასაძე, მურად ქათამაძე, შოთა ლომთათიძე, ნოდარ ცნობილაძე, კოკი ჭანტურია, მიხეილ საჯაია, კარლო კილაძე, აპოლონ ჭანტურია, ჟორა ჯიქია, გივი ღლონტი და სხვები. მაპატიონ, თუ ვინმე გამომრჩა. ასევე კურსზე გვყავდა საამაყო გოგონები: ნათელა არველაძე, ნათელა კაპანაძე, ეთერ გამყრელიძე, სულიკო ვაშალომიძე, ჩიტო ფირცხალაიშვილი.

მაშინდელი სასწავლო გეგმით საგნები შემდეგნაირად იყო დალაგებული: წამყვანი ადგილი ეკავა იდეოლოგიურ საგნებს, როგორიც იყო მარქსმ-ლენინიზმის საფუძვლები, დიალექტური და ისტორიული მატერიალიზმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, პოლიტიკური ეკონომიკა. ეს საგნები თანმიმდევრობით ორი სემესტრის განმავლობაში ისწავლებოდა და მას პერიოდების შესაბამისად სხვადასხვა ლექტორი გვიკითხავდა. შემდეგ მოდიოდა სპეციალური საგნები: ძველი მსოფლიოს ისტორია, საბჭოთა კავშირის ხალხის ისტორია, მსოფლიოს ახალი და უახლესი პერიოდის ისტორია, ისტორიის სწავლების მეთოდიკა, არჩევითი იყო სპეკკურსები და სპეცსემინარები. პედაგოგიური ციკლის საგნები იყო პედაგოგიკა, პედაგოგიკის ისტორია, ფსიქოლოგია, სასკოლო ჰიგიენა. აგრეთვე ისტორიის სპეციალობაზე იკითხებოდა ანტიკური ლიტერატურის ისტორია, რუსული ლიტერატურის ისტორია, ქართული ლიტერატურის ისტორია, რუსული ენა და სხვა. ცალკეული საგნის სწავლებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა პედაგოგიურ პრაქტიკას, რომელიც ორჯერ ტარდებოდა მესამე და მეოთხე კურსზე. მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სახელმწიფო გამოცდისთვის მზადება.

სტუდენტთა ნაწილი ჩაბმული ვიყავით ისტორიის სამეცნიერო მუშაობაში და ვმონაწილეობდით რესპუბლიკურ კონფერენციებში. ჩვენი ლექტორები იყვნენ: ვუკოლ იაშვილი, ვარლამ დონაძე, იონა კუბლაშვილი, სევერიან ყალიჩავა, კუკური ლილუაშვილი, პანტელეიმონ ბერაძე, ვლადიმერ ნორაკიძე, მემე სტამბოლიშვილი, გრიგოლ ჭოჭიეშვილი, სერგო ქუთათელაძე, პარმენ პატარაია, ვლადიმერ სიჭინავა, ლიზა ერქომაიშვილი და სხვა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო სახელმწიფო გამოცდის კომისიის თავმჯდომარე, ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე. 1963 წელს სახელმწიფო გამოცდა ტარდებოდა ოთხ საგანში და ყველა გამოცდაზე დიდი სიყვარულით და მზრუნველობით დაგვტრიალებდა თავს, რომ წარმატებით დაგვემთავრებინა უმაღლესი სასწავლებელი და შევდგომოდით ცხოვრებისა და საქმიანობის რთულ გზას.

ნოდარ ბარამიძე

უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის გაზრდის მიზნით

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი კლასიკური უნივერსიტეტია განვითარების მრავალფეროვნებით. ბუნებრივია სახელმწიფოს პრიორიტეტს საბუნებისმეტყველო მეცნიერებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. თანამედროვე კვლევები საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში მძლავრი და თანამედროვე აპარატურული უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. საბუნებისმეტყველო კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქრომატოგრაფიას. 2013-2014 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (თანადაფინანსება უნივერსიტეტი და შ.პ.ს. „გეომარი“) განხორციელდა პროექტი გრანტი AP/96/13 „დასავლეთ საქართველოს რეგიონული ქრომატოგრაფიული ცენტრი.“ პროექტში კონსორციუმის წევრად მონაწილეობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროექტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 470 ათას ლარამდე (36 ათასამდე უნივერსიტეტის თანადაფინანსება, ხოლო 3 ათასი შ.პ.ს.“გეომარი“),

უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დასავლეთ საქართველოს რეგიონული ქრომატოგრაფიული ცენტრი“ აღჭურვილია შემდეგი თანამედროვე აპარატურით:

-ზემაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფიული სისტემა, მასს-დეტექტორით (Acquity UPLC H-Class Core System, Acquity QDa Single Quadupole Mass-Detector) (სხვადასხვა სვეტით) (აშშ).

-მაღალი წნევის თხევადი ქრომატოგრაფით Waters (UV/Visible Detector 2489, Binary HPLC Pump 1525) (ულტრაიისფერი და ხილული დიაპაზონის დეტექტორით), 2414 RI Detector რეფრაქტომეტრული ინდექსის დეტექტორით, (Fraction Collector) ფრაქციების კოლექტორით, (სხვადასხვა სვეტით) (აშშ).

-იზოკრატული კონდუქტომეტრული დეტექტორით (Breeze Isocratic Manual 432 Conductivity Detector) (სხვადასხვა სვეტით) (აშშ) და აირ-სითხური ქრომატოგრაფით Thermo TRACE 1310 Mainframe 230V (სხვადასხვა სვეტით) (აშშ).

-სპექტროფოტომეტრით Beckman (აშშ), სპექტროფოტომეტრი, ვაკუუმამაორთქლებლები (ვაკუუმტუმბოთი), pH-მეტრები (Mettler Toledo), ციფრული რეფრაქტრომეტრები, ციფრული ანალიზური სასწორები, სუპერკრიტიკული წნევის ფლუიდური ექსტრაქტორი (SFE 100 with 100 ml Pump. Includes აშშ), რეგულირებადი გამაცხელებლები, ულტრაიისფერი ნათების წყარო, წყლიანი აბაზანა, ულტრახმოვანი აბაზანა, წყლის თერმორეგულატორი, საყოფაცხოვრებო მაცივრები (ნიმუშების შესანახად), საშრობი კარადები, მუფელის ღუმელი, ცენტრიფუგა, აუცილებელი ქიმიური ჭურჭელი, კამერები თხელფენოვანი ქრომატოგრაფირებისათვის, დისტილატორი, მიკროსკოპი (ვიდეოთვალით), უკუმაცივრები, სოქსლეტის აპარატები, საფილტრაციო სისტემები და სხვა. განყოფილება აღჭურვილია მიკრობიოლოგიური ლაბორატორიით (ბოქსი, ბოქსის წინა სტერილური ოთახი, ლამინარი, თერმოსტატები, სტერილიზატორები, შესაბამისი ჭურჭელი).

ცენტრში შესაძლებელი გახდა ისეთი მეთოდების დანერგვა, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს.

-ქრომატოგრაფიული კვლევის თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისი რეგიონალური ცენტრი — დასავლეთ საქართველოში, გულისხმობს ახალი სამეცნიერო პროექტების, სადოქტორო პროგრამების, მემორანდუმების, სახელშეკრულებო თემების განხორციელებას, ახალ პარტნიორ ორგანიზაციებს საქართველოსა და უცხოეთში;

-შესაძლებელი გახდება განახორციელდეს თანამედროვე მეცნიერულ დონეზე სარწმუნო და სიღრმისეული კვლევები, კვლევების შედეგების სარწმუნოობა და მაღალი მეცნიერული დონე მნიშვნელოვნად გაზრდის უნივერსიტეტის პერსონალის მიერ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების შესაძლებლობას.

-ქრომატოგრაფიული ცენტრი საშუალებას მოგვცემს დასავლეთ საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნების (აბორიგენული და არაადგილობრივი) და შავი ზღვის სანაპიროსა და მტკნარი წყალსატევების ბიორესურსების კომპლექსური ქიმიური კვლევის მათი რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მიზნით;

-შესაძლებელი იქნება ბიოლოგიური ობიექტების ფიზიოლოგიურად და ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა ქიმიური შედგენილობის, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიური კლასის განსაზღვრის, პრეპარატული გამოყოფისა და იდენტიფიკაციის, სტრუქტურისა და ბიოაქტიურობის კორელაციის შესწავლა;

-შესაძლებელი იქნება თანამედროვე მეცნიერულ დონეზე საკვლევი ობიექტების სრული ანალიზი კერძოდ: ალკალოიდების; ფენოლური ნაერთების (ფლავონოიდების, ფლავონების, ფენოლკარბონმჟავების, მეთოქსილირებული ფლავონების, ანტოციანების, კატექინების, ლეიკოანტოციანების, და სხვა); ვიტამინების; ორგანული (მათ შორის ცხიმმჟავები) მჟავების; ნახშირწყლების, პესტიციდებისა და ჰერბიციდების; ანტისეპტიკების; შაქრის შემცვლელების; ემულგატორების; მინერალური ნაერთების იონების; აქროლად კომპლექსში შემავალი ინდივიდუალური ნაერთების და სხვა ბუნებრივ ნაერთთა, საკვებ და ქიმიურ დანამატთა თვისობრივი და რაოდენობრივი შემცველობის შესწავლა.

-კრიტიკული წნევით ფლუიდური ექსტრაქციით შესაძლებელი იქნება, ნიმუშის ეფექტური მომზადება, საკვლევი ობიექტებიდან ნაერთთა ნატიურად შერჩევითი ექსტრაქცია, მათ შორის ბიოაქტიური ნაერთების შერჩევით ექსტრაქცია და შესაბამისად ნიმუშების ეფექტური მომზადება შემდგომი ქრომატოგრაფიული კვლევებისათვის.

-შესაძლებელი გახდება ახალი, მოდიფიცირებული და სრულყოფილი ხელსაწყოების ბაზაზე ჩამოყალიბებული ქრომატოგრაფიული ცენტრის აკრედიტაცია, რაც საშუალებას მოგვცემს ჩატარდეს აკრედიტირებული ლაბორატორიის ფარგლებში კომერციული სამუშაოები;

-ქრომატოგრაფიული ცენტრი გამოყენებული იქნება დაინტერესებული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულების სპეციალისტების სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლისათვის;

-მაღალკვალიფიციურად (სახელმწიფო და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით) ჩატარდება გარემოს, სურსათის და წყლის კვლევა.

ალეკო კალანდია

ერისა და ქვეყნის მსახური

2015 წელს იური (გიორგი) ბიბილეიშვილს დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული გამოკვლევებისა და ესეებისათვის მიანიჭა გერონტი ქიქოძის პრემია.

დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა პედაგოგიკისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორ იური ბიბილეიშვილს.

პროფ. იური ბიბილეიშვილმა საკმაოდ რთული და წინააღმდეგობით აღსავსე გზა განვლო. პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა როგორც ნიჭიერი, მრავალმხრივი შემოქმედი და მაძიებელი სულის ადამიანი. თავის ნიჭიერებას ის კარგად უხამებს უდიდეს შრომისმოყვარეობას. იგი ფუტკარივით მშრომელი კაცია. სად არ ნახავთ მას — მოსწავლეებთან თუ მწერლებთან, განათლებისა თუ კულტურის დარგის მუშაკებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და ვინ მოთვლის კიდევ ვისთან. ყველაფერს ასწრებს, ყველა ღონისძიებაში მონაწილეობს და თავის წონად სიტყვას ამბობს, ყველა საქმეში სამაგალითო, მისაბაძი და გამორჩეულია. პედაგოგიკის თეორიის, პედაგოგიკის ისტორიისა და ქართული ლიტერატურის გარდა, მისი მადლიანი კალამი შეეხო თეატრალურ ცხოვრებას, ისტორიისა და პოლიტიკის საკითხებს. იგი მოუსვენარი, დაუდგრომელი კაცის ცხოვრებით ცოცხლობს და მოღვაწეობს, სისტემატურად ეხმაურება საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

იური ბიბილეიშვილი დაიბადა 1935 წლის 1 ნოემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, ხელოსნის ოჯახში. აქ დაირწა მისი აკვანი, აქ ეზიარა იგი მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სიყვარულს, აქედან დაიწყო მისი შემოქმედებითი ძიების, წვისა და დაგვის გზ-სავალი. აქვე დაამთავრა მან დაწყებითი სკოლა. 1947 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. ბათუმში და ბატონმა იურიმ სწავლა განაგრძო ბათუმის #1 საშუალო სკოლაში, შემდეგ კი — ამიერკავკასიის რკინიგზის 25-ე საშუალო სკოლაში. 1955 წელს მან წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის სპეციალობაზე. როგორც სკოლაში, ისე უმაღლეს სასწავლებელში იგი გამოირჩეოდა თავისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით. იყო ყველა საქმის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. 1956 წელს იოსებ სტალინის პიროვნების კრიტიკის გამო საქართველოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში მოეწყო სტუდენტი ახალგაზრდობის მასობრივი გამოსვლები. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ამ გამოსვლების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო პირველი კურსის სტუდენტი იური ბიბილეიშვილი, რისთვისაც ამავე წლის მაისში იგი დააპატიმრეს და ორი წელი მიუსაჯეს. სასჯელი მან მოიხადა მორდვეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქ იავასის პოლიტიკურ საპატიმროში. საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ ცხოვრების უფლება და მგზავრობის ბილეთი მისცეს მხოლოდ ქობულეთამდე, მაგრამ საქმეში ჩაერია პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი დავით მამულაძე და მას ნება დართეს არა მარტო ბათუმში ცხოვრებისა, არამედ 1958 წელს სტუდენტის უფლებებშიც აღადგინეს.

1962 წელს იურიმ ინსტიტუტი დაამთავრა და განაწილების მიხედვით მეუღლესთან ერთად, რომელიც მისი თანაკურსელია, მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის სოფ. ღორჯომის საშუალო სკოლაში ქართული ენა-ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლად. აქ მან მოაწყო ქართული ენისა და ლიტერატურის საუცხოო კაბინეტი, რომლის შესახებ არაერთხელ აღინიშნა რესპუბლიკურ პრესაში. აქ მუშაობის დროს ი. ბიბილეიშვილმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს რესპუბლიკურ „პედაგოგიურ კითხვაზე“, სადაც მისმა მოხსენებამ მსმენელთა მაღალი მოწონება დაიმსახურა.

ღორჯომის საშუალო სკოლაში ი. ბიბილეიშვილმა ხუთი წელი დაჰყო, 1967 წელს კი გადმოვიდა ქალაქ ბათუმში და სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ეთიკისა და ესთეტიკის მასწავლებლად, აჭარის კულტურის სამინისტროში მეთოდისტად, საქართველოს განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბათუმის ფიალიალის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდური კაბინეტის გამგედ, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ლექტორ-კონსულტანტად, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, აჭარის ვაჭრობის სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსად, ბათუმის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად, პარალელურად კი მუშაობდა ქ. ბათუმის #6 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

სადაც კი იმუშავა ბატონმა იურიმ, ყველგან თავი გამოიჩინა როგორც ერუდირებულმა, საზრიანმა, შორსმჭვრეტელმა და დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებამ.

1977 წლიდან ი. ბიბილეიშვილი მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის ჯერ სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის ასისტენტად, უფროს მასწავლებლად, შემდეგ უნივერსიტეტის დოცენტად, ასოცირებულ პროფესორად და სრულ პროფესორად, 2003 წელს კი მიენიჭა ემერიტუს-პროფესორის წოდება და გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

1981 წელს იური ბიბილეიშვილმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პედაგოგიკაში, 1997 წელს კი — სადოქტორო დისერტაცია თემაზე „კომენოლოგია საქართველოში“ და მოიპოვა პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილდა და 1999 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფილოლოგიაში, გახდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორიც.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარალელურად ი. ბიბილეიშვილი მუშაობდა გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში პრორექტორად აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და პედაგოგიკის კათედრის გამგედ. სხვადასხვა დროს იყო აგრეთვე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრასთან არსებულ მომავალ მასწავლებელთა ფაკულტეტის დეკანი, ინსტიტუტის ლექტორ-თანამშრომელთა ადგილკომის თავმჯდომარე, პედაგოგიკის კათედრის გამგის მოადგილე, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების საინსტიტუტო ორგანიზაციის თავმჯდომარე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სხვა. მაგრამ ბატონი იური, უწინარეს ყოვლისა, არის საუკეთესო ლექტორი, აღმზრდელი. იგი კითხულობდა ლექციებს პედაგოგიკასა და პედაგოგიკის ისტორიაში, აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდიკაში, ატარებდა სპეციალურ სემინარებს სტუდენტთა ზნეობრივი აღზრდისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საკითხებზე. მისი ლექციები ორატორული ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია, მაგნიტივით იზიდავს მსმენელებს.

ი. ბიბილეიშვილის ხელმძღვანელობით ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრაზე დაარსდა ხელნაწერი ალმანახი „მოძღვარი“, რომელშიც პერიოდულად ქვეყნდებოდა სტუდენტთა წერილები და ნარკვევები აჭარის სკოლებში მოღვაწე გამოჩენილ პედაგოგებსა და ცალკეული სკოლების ისტორიაზე. ამჟამად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტში ინახება აღნიშნული ალმანახის 4 ტომი, რომლებიც გარკვეულ დახმარებას გაუწევენ აჭარის სახალხო განათლების ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

მოგვიანებით იური ბიბილეიშვილმა საფუძველი ჩაუყარა სტუდენტთა ახალ კრებულს სახელწოდებით: „ვინც კარგად გვასწავლიდა, კარგად გვზრდიდა“, რომლებშიც სტუდენტები ყურადღებას ამახვილებენ საუკეთესო აღმზრდელ-მასწავლებელთა დამახასიათებელ თვისებებზე, რაც ხელს უწყობს მომავალ მასწავლებელთა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

პროფ. იური ბიბილეიშვილი არის მრავალმხრივი შემოქმედი. მისი ინტერესების სფერო მოიცავს დიდაქტიკის, აღზრდის თეორიის, პედაგოგიკის ისტორიის, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკისა და სხვა საკითხებს, მაგრამ მისი კვლევის ძირითადი საგანი მაინც არის გამოჩენილი ჩეხი პედაგოგის, მსოფლიო მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის ი. ა. კომენსკის პედაგოგიკური მემკვიდრეობა, რომელსაც მან მიუძღვნა თავისი როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციები პედაგოგიკაში. აქედან მოყოლებული მას თითქმის ყოველწლიურად ინვევდნენ საერთაშორისო კომენოლოგიურ კონფერენციაზე, რომელიც ჩეხეთის ქალაქ უერსკი-ბროდში იმართება. აღნიშნული კონფერენციის მუშაობაში მისი აქტიური მონაწილეობის დასტურია ის, რომ 1989-1991 წლებში მისი მოხსენებები გამოქვეყნდა საერთაშორისო კომენოლოგიური ჟურნალის ფურცლებზე.

განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა ბატონმა იურიმ ი. ა. კომენსკის დაბადების 400 წლისთავის აღნიშვნისათვის. 1992-1993 წლებში მან გაზეთების „აჭარის“, „ადჟარიას“, „სვობოდნაია გრუზიასა“ და ჟურნალ „ჭოროხის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ი. ა. კომენსკის პედაგოგიკური მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი. 1993 წელს მისი სტატია „კომენოლოგია საქართველოში“ გამოქვეყნდა სლოვაკიის ქალაქ ბრატისლავაში.

პროფ. იური ბიბილეიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ასევე 1990 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ბერლინსა და მინსკში გამართულ გამოჩენილი გერმანელი კლასიკოსი პედაგოგის — ადოლფ დისტერვეგის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო სესიების მუშაობაში. მას ქართულ, რუსულ, ჩეხურ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან ორი მონოგრაფიაა. მკითხველებში დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა წიგნებმა „ფიქრები აღზრდაზე“, „ბავშვთა ბუნებრივი ნიჭის განვითარების ზოგიერთი საკითხი ი. ა. კომენსკის პედაგოგიურ კონცეფციაში“, „ქართული კიომენოლოგია“ (ნაწილი პირველი), „ლიტერატურული წერილები“, „ცხოვრების საზრისი“ და სხვ.

ბატონმა იური ბიბილეიშვილმა თავის მონოგრაფიაში „ქართული კომენოლოგია“ ახლებურად დასვა და გადაწყვიტა პედაგოგიკის ისტორიის არაერთი საკითხი, რომელთა შორის, ჩვენი აზრით, გამოირჩევა პედაგოგიკური იდეების წარმოშობის ახსნა-დასაბუთება მსგავსი იდეების კონცეფციით, რომლის მომარჯვებით ავტორმა დაასაბუთა, რომ ქართული პედაგოგიკური აზროვნება ვითარდებოდა და ვითარდება მხოლოდ სტანდარტების დონეზე, ყოველგვარი მიბაძვის გარეშე, რომ საქართველო ყოველთვის ეროვნული თვითმყოფადი კულტურით ცხოვრობდა და საკუთარი წვლილი შეჰქონდა მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

პროფესორ იური ბიბილეიშვილის დიდ დამსახურებად მიგვაჩია ასევე კომენოლოგიის ქართული პარადიგმების ფონზე სრული განათლების კონცეფციის შემოტანა პედაგოგიკაში. მას ეკუთვნის ასევე კარგად სწავლების დიდაქტიკური პრინციპებისა და სწავლების განმავითარებელი ფუნქციის პედაგოგიური ასპექტების მეცნიერული დამუშავება. ფილოლოგიაში მან დაამუშავა საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მწერალთა შემოქმედების ახლებურად წაკითხვის კონცეფცია, რომლის მიხედვით, ნიჭიერი მწერლის სრული „მოთვინიერება“ შეუძლებელია. ამ კონცეფციით იგი პერიოდულად აქვეყნებდა ნარკვევებს აჭარაში მხატვრული სიტყვის განვითარების შესახებ, სათაურით „სული უკვდავი“.

წიგნში „ფიქრები აღზრდაზე“ პროფესორმა იური ბიბილეიშვილმა ჩამოაყალიბა ადამიანთა შორის ურთიერთობის ზნეობრივი პრინციპი, რომლის თანახმად ერთი ადამიანი მეორისათვის დაბრკოლებას კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ იმედს. მისი აზრით, ზნეობრივი პიროვნება მასთან ურთიერთობაში მყოფ მეორე ადამიანს უნდა უქმნიდეს ხელსაყრელ პირობებს პირადი ღირსების, ნიჭის, უნარისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისათვის. ასეთია მისი ზნეობრივი კრედო.

იური ბიბილეიშვილი ფართო დიაპაზონის მეცნიერ-პედაგოგია. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მშობელთა შორის პედაგოგიური განათლების სახალხო უნივერსიტეტს, ხშირად გამოდიოდა მშობელთა წინაშე საინტერესო ლექციებით ბავშვთა ოჯახური აღზრდის საკითხებზე. ასევე სისტემატურად უკითხავდა ლექციებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მოწვეულ მასწავლებლებს პედაგოგიკასა და ქართულ ლიტერატურაში. 1995-1999 წლებში იყო საქართველოს მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრი, 2001 წელს არჩეულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წევრად. აქ იგი სათავეში ედგა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ქვეკომიტეტს; 1999 წლიდან 2004 წლამდე იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და აღნიშნული კავშირის აჭარის ორგანიზაციის კრიტიკის სექციის თავმჯდომარე, ჟურნალ „ჭოროხის“ სარედაქციო საბჭოს წევრი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ენციკლოპედია „აჭარის“ განათლების, კულტურისა და ხელოვნების განყოფილების მთავარი რედაქტორი და სხვ.

2008 წლიდან 2012 წლამდე იური ბიბილეიშვილი იყო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სექციის რედაქტორი. 2011 წელს დაბადების 75-ე წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს მწერალთა ეროვნულმა კავშირმა მიანიჭა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია. 1999 წელს კი მიენიჭა აჭარის ა.რ. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ბატონ იური ბიბილეიშვილს აღიარება და დაფასება არასოდეს დაკლებია. იგი ყოველთვის იყო საზოგადოების ყურადღების ცენტრში როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. 1989 წელს იგი აირჩიეს ჩეხეთის ქალაქ უერსკი-ბროდის ი. ა. კომენსკის მუზეუმის კოლეგიის უცხოელ წევრად, 1992 წელს კი ჩეხეთისა და სლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის კრების პრეზიდიუმმა იგი დააჯილდოვა საპატიო სიგელითა და ი. ა. კომენსკის სახელობის მედლით, რომელსაც საქართველოში მხოლოდ აკადემიკოსები დ. ლორთქიფანიძე და გ. ჯიბლაძე ფლობდნენ. გარდა ამისა, ბატონი იური დაჯილდოებულია საქართველოს სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს საპატიო სიგელით, 1995 წელს დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

იური ბიბილეიშვილი ავტორია 200-ზე მეტი ნაშრომისა, რომელთა შორის 10 მონოგრაფია და 2 სახელმძღვანელოა.

ბატონი იურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალა არ იქნება სრულყოფილი თუ არაფერს ვიტყვით მისი ოჯახის შესახებ. იგი შესანიშნავი მეოჯახეცაა. ჰყავს 2 ვაჟიშვილი — ბიძინა და დავითი და ოთხი შვილიშვილი — ლია, გივი, ქეთევანი და ელენე ბიბილეიშვილები.

ვუსურვოთ ამაგდარ მეცნიერ-პედაგოგსა და მწერალს კიდევ დიდხანს სიცოცხლე და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ჩვენი ერისა და ქვეყნის მომავლის საკეთილდღეოდ. უფალი იყოს მისი შემწე და მფარველი!

ნოდარ ბასილაძე

აჭარა საქართველოს 1935 წლის საექსპედიციო მასალებში

(ექსპედიციის 80 წლისთავის გამო)

ივანე ჯავახიშვილი

80 წლის წინ, 1935 წლის ზაფხულში, ჩატარდა გაერთიანებული პირველი სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის მასალები შეიკრიბა საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის შესასწავლად. ექსპედიცია განხორციელდა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მის მიერ შედგენილი პროგრამა-კითხვარის საფუძველზე.

ექსპედიცია, რომელიც 23 კაცისაგან შედგებოდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის აჭარაში, ერთდროულად მუშაობდა ორი თვის განმავლობაში. ექსპედიციის პერიოდში შეკრებილი მასალების რაოდენობა ხელნაწერის სახით 6000 გვერდს აღემატებოდა. თემატურად დალაგებული საექსპედიციო მასალები ილუსტრაციებთან ერთად (ფოტოსურათები, ჩანახატები, ნახაზები) გასაცნობად ივანე ჯავახიშვილს გადაეცა. ექსპედიცია წარმატებული აღმოჩნდა. ამით აღფრთოვანებული მეცნიერი წერდა: „თავმოყრილია ისეთი მასალა, ურომლისოდაც მომავალში ვერც კულტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას გააკეთებს. მოხარული ვარ, რომ ის საშვილიშვილო საქმე, რომელიც უნდა გაკეთებულიყო და რომელზედაც ყოველთვის ვოცნებობდი, ბოლოს მაინც განხორციელდა".

გამოცემამდე მასალები ჯერ შოთა რუსთაველის ეპოქის მუზეუმში ინახებოდა, რომლის დირექტორიც თვით ივ. ჯავახიშვილი იყო, შემდეგ კი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

სხვადასხვა მიზეზის გამო მხოლოდ 1972 წელს დაისვა საკითხი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე მასალების მეცნიერულად დამუშავებისა და გამოცემის შესახებ და მისი პრაქტიკული განხორციელება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს დაევალა. 1974 წელს ინსტიტუტის დირექციის ბრძანებით შეიქმნა საინსტიტუტო სარედაქციო-საგამომცემლო კომისია აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიოდნენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები.

ხელნაწერი მასალების წიგნებად გამოცემა დაიწყო 1976 წელს და დამთავრდა 1992 წელს. სულ გამოიცა ხუთი ტომი 9 წიგნად სახელწოდებით „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის". პირველი და მეხუთე ტომები გამოიცა თითო, მეორე და მესამე ტომები ორ და მეოთხე — სამ წიგნად.

პირველ ტომში (1976 წელი), რომლის გამოცემა ივ.ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავს დაემთხვა, შეტანილია მასალები ხალხური აღმშენებლობისა და ხის ავეჯის შესახებ, მეორე ტომის ორ წიგნში (გამოიცა 1979 და 1982 წლებში) შევიდა მეჭურჭლეობასთან, ქსოვასთან, ღებვასა და ქარგვასთან დაკავშირებული მასალები, მესამე ტომის ორ წიგნში (1983 და 1986 წლები) — ტანისამოსი, საჭმელ-სასმელი, მეოთხე ტომის სამ წიგნში (1986, 1987, 1989 წლები) — მესაქონლეობა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგები. მეხუთე ტომი (1992 წელი) მთლიანად ეძღვნება მეურნეობის სხვა დარგებისა და ყოფითი რეალიების დახასიათებას.

მასალების ხუთტომეულის ცხრა წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აჭარაში შეკრებილ შინამრეწველობისა და ხელოსნობის მასალებს, რომელთა ავტორები არიან შემდეგში ფართოდ ცნობილი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე და ბათუმელი პედაგოგი თამარ ანდღულაძე.

პირველ ტომში შესულია ცნობები აჭარაში გავრცელებულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობაზე, კერამიკული ჭურჭლისა და ავეჯის დამზადებაზე, რასაც წიგნის 16 გვერდი უჭირავს.

საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობებზე მასალები ჩაწერილია ხიხაძირში,


გიორგი ჩიტაია

წყაროთაში (ჭვანის ხეობა), ვაიოში, საღორეთში (დღევანდელი პირველი მაისი), დერეხოხნაში, ნამონასტრევში (ქედის რაიონი), ალამბარში (ქობულეთის რაიონი), კერამიკული ნაკეთობის დამზადებაზე — ზვარეში (ქედის რაიონი), გოგმაჩაურში (ქობულეთის რაიონი) და შუახევში, ავეჯზე — ხიხაძირში. ტექსტებს ერთვის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აჭარის მატერიალური კულტურის სხვა ელემენტების, ხიხაძირელი მხერხავების, აჭარელთა ტიპების, სამეურნეო იარაღების ამსახველი ფოტოსურათები.

მასალების მეორე ტომის ორივე წიგნში მოტანილია ცნობები ხის ხარატულ და წნულ ნაკეთობათა დამზადების, ქსოვის, ქარგვის, ღებვის, სახელოსნო იარაღების შესახებ. ნამონასტრევისა და ჭალათის მაგალითზე აღწერილია სამხვენწლო დაზგები, დახასიათებულია ის ნაკეთობები, რომლებიც ასეთ დაზგებზე მზადდებოდა. ამათგან საგანგებოდ აღსანიშნავია მთლიანი ხისაგან (ცაცხვი, თელა, თხმელა) მოხარატებული მრგვალი ფორმის სუფრები (სასადილო მაგიდები) ცენტრში ერთფეხიანი სადგამით. ადრე ასეთი სუფრების დამზადება მოსული ლაზი ხის ოსტატების პრივილეგიას შეადგენდა. მათგან ეს ხელობა ადგილობრივ ხის ოსტატებსაც შეუსწავლიათ. 1935 წელს სოფელში ასეთ ხარატულ ნაკეთობებს ათზე მეტი ადგილობრივი ხელოსანი ამზადებდა. ნამონასტრევში მცხოვრები თურმანიძეები მსგავს ხის ნაკეთობათა დამზადებას ბოლო წლებამდე მისდევდნენ. ხარატული წესით სასადილო მაგიდების დამზადებას, რომელიც აჭარაში ცნობილია სუფრისა და ფეშხუმის სახელწოდებით, დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი კერები ტრადიციულად არსებობდა არა მარტო მერისის, არამედ აჭარისწყლის, მაჭახლის, ღორჯომის, ჭვანის, ხიხოს და სხვა ხეობებში, ჭოროხის ხეობასა (შავშეთ-იმერხევი, ლიგანი) და ლაზეთში.

ფეიქრობასთან დაკავშირებული (მატყლის დამუშავება, შალის ქსოვილის დამზადება, ბამბის, სელის, კანაფის რთვა-ქსოვა) მასალები მოძიებულია ზენდიდში, ნამონასტრევში, ჭვანაში, დიდაჭარაში. აქვე შესულია მასალები ხასირის (ანუ ლოგინზე დასაგები ჭილოფის) ქსოვაზე (დიდაჭარა), საღებავების დამზადებასა და ღებვაზე (ჭვანა, ნამონასტრევი), თოკების გრეხაზე (მერისი, დიდაჭარა). წიგნის ამ ნაწილს ერთვის საქსელავისა და ჭილობის ქსოვის ამსახველი ფოტოები, ასევე ჩანახატები თოკის საგრეხი ჩარხების შესახებ, რომლებიც შესრულებულია მასალების ჩამწერთა მიერ.

მასალების მესამე ტომის პირველ წიგნში შესულ საექსპედიციო მონაცემებში ასახულია აჭარაში გავრცელებული ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობის ნიმუშები. ქალის ტანსაცმელზე ცნობები ჩაწერილია ნამონასტრევსა და ხიხაძირში. მამაკაცის ტანსაცმელზე, ფეხსამოსზე — დერეხოხნაში, ორცვასა და ნამონასტრევში, ხიხაძირსა და დიდაჭარაში. დასანანია, რომ ამ ტომის მეორე ნაწილში, რომელიც საჭმელ-სასმელს ანუ ხალხურ კულინარიას შეეხება, აჭარის შესაბამისი მონაცემები რატომღაც ვერ აისახა. როგორც ჩანს, ამ სახის მასალა 1935 წელს არ ჩაწერილა.

1935 წლის ექსპედიციის პერიოდში შედარებით მწირი, მაგრამ საინტერესო მონაცემებია ჩაწერილი აჭარის მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის, მემინდვრეობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და ტრანსპორტის (მეოთხე ტომის მეორე ნაწილი), მებოსტნეობისა და მეხილეობის, მეთამბაქოობის, მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, მორწყვის (მეოთხე ტომის მესამე ნაწილი) შესახებ. სამწუხაროდ, ასევე მცირედაა წარმოდგენილი მესაქონლეობა, მეფრინველეობა (მეოთხე ტომის პირველი ნაწილი).

მეფუტკრეობაზე მასალები მოძიებულია წყაროთასა (ჭვანის ხეობა) და დიდვაკეში (ქობულეთის რაიონი). აქვე მოთხრობილია სკების დამზადებაზე, თაფლის ხილვაზე, ფუტკრის მოვლა-პატრონობაზე. მეაბრეშუმეობის შესახებ ცნობები ჩაწერილია სოფელ ზენდიდსა და ჭვანაში. ამ სახის ცნობები ნათლად მიუთითებენ მეაბრეშუმეობის მდიდარ ტრადიციებზე, რაც აჭარაში არსებობდა. მეტად საყურადღებოა იმ ცოდნა-გამოცდილების გახსენებაც, რაც აჭარის ზღვისპირეთის მოსახლეობას გააჩნდა ბრინჯის მოვლა-მოყვანის საქმეში (მასალა ჩაწერილია ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბარში). აქვე მოკლედ აღწერილია ის ხალხური კერძები, რომლებიც ბრინჯისაგან მზადდებოდა. ტექსტის ამ ნაწილში მოთავსებულია ფოტოსურათი, რომელიც საცეხველში ბრინჯის ცეხვის პროცესს ასახავს. მასალების მეოთხე ტომში (მესამე ნაწილი) ჩაწერილი ცნობებით ჩვენ წინ ცოცხლდება აჭარის მეხილეობის ძველი და მდიდარი ტრადი-

ქეთევან ლომთათიძე



(გაგრძელება მე-10 გვერდზე)

აჭარა საქართველოს 1935 წლის საექსპედიციო მასალებში

(დასაწყისი მე-9 გვერდზე)

ციები, რომელიც აჭარაში არსებობდა. მარტო სოფელ წაყროთაში (ჭვანის ხეობა) აღწერილია მსხლის 25-მდე და ვაშლის 10 სხვადასხვა ჯიში, ჭალათში — მსხლის 10 და ვაშლის 11 ჯიში. ამ ჯიშებიდან დღეს ბევრი აღარ გვხვდება და ისტორიის კუთვნილებად იქცა. მსხლის ჯიშებიდან ჩამოთვლილია სასელა, ჯიხარაჯული, ხატულა, კაციითავაი, ბოქშვაი, ხეჭეჭური, თავრაჯული, სხალთაფლა, მესარა, შავსხალი, სართულა და სხვ. ვაშლის ჯიშებიდან: ბაღჩავაშლი, ბიავაშლი, შაქარვაშლა, დემირალმა, შავი ვაშლი, კაჩავაშლი და ა.შ. აქვე დახასიათებულია ხეხილის საოჯახო-საყოფაცხოვრებო გამოყენება.

ბრინჯის ცეხვა

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მონაცემები. ირკვევა, რომ აჭარის მთიანი ზონის სოფლებში (წყაროთა, მერისი, ნამონასტრევი) 1930-იან წლებშიც გავრცელებული ყოფილა ვაზის ისეთი ჯიშები, როგორებიცაა: ჩხავერი, ხოფათური, მეკრენჩხი, საწურავი, შავშურა, ცხენიძუძუ და შემოტანილი თეთრი და შავი ადესა. დღეს ამ ჯიშებიდან მხოლოდ აქა-იქ ჩხავერი და ადესაა შემორჩენილი. უპირატესობით სარგებლობდა ჩხავერი, რომლის ღვინოც ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნეოდა. ჩხავერისა და ხოფათურის გარდა სოფელ ქაქუთში (ქობულეთის რაიონი) აღწერილი და დახასიათებულია სხვა ჯიშებიც: ტევანდიდი, ალადასტური, კლარჯული, ბათუმურაი, კაკაჩაი, მანცქავრაი, საფერავი. საუბარია მარანში ღვინის დაყენებასა და ჭაჭისაგან არყის გამოხდაზე.



ქოჩახელა (ედეჰემ სურმანიძე)

წყაროთასა და ხიხაძირში ჩაწერილი მასალებით ვეცნობით ყანებსა და ჭალებში (სათიბებში) სარწყავი არხების გაყვანისა და რწყვის ტრადიციულ წესებს, ხოლო ვაიოს, დიდაჭარისა და დიაკონიძეების მასალებით — წყლის წისქვილებისა და ხელწისქვილების მშენებლობას, წისქვილის საფქვავი ქვების დამზადებას. აქვე მოტანილია ჩანახატები წისქვილის ინტერიერისა და ხელწისქვილისა.

მასალების მეხუთე ტომში აჭარის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები შეეხება თევზაობას, მონადირეობას და მუსიკას. მეთევზეობაზე ცნობები შეკრებილია ჭალათსა და წყაროთაში და მოიცავს წიგნის ორ გვერდს. აქვე ვეცნობით ბადის სახეებს, მათი ქსოვის წესებს, თევზის სახეობებსა და თევზაობის ხერხებს. სოფელ ჭალათში ძირითადად გავრცელებული ყოფილა გარგანაი ბადე, რომელიც გარგანზე (ჯოხზე) ყოფილა დამაგრებული. წაყროთაში კი ასეთ ბადეს ჭერის ბადე ეწოდებოდა. ბადეებს კანაფისა და ბამბის ძაფისაგან ქსოვდნენ. თევზაობდნენ ანკესითაც.

ნადირობასთან დაკავშირებული ცნობები მხოლოდ სოფელ ჭალათშია ჩაწერილი, რომლითაც ჩანს, რომ აქ ნადირობდნენ დათვზე, მგელზე, გარეულ თხაზე, შველზე, კვერნაზე, ფრინველებზე.

დღევანდელი გადასახედიდან ძალზე საინტერესოა ხალხურ საკრავებთან, სიმღერებთან, ქორეოგრაფიასთან დაკავშირებული მონაცემები. საკრავებზე მასალები ჩაწერილია ნამონასტრევში, ზენდიდში და ვერნებში, სიმღერებსა და ცეკვებზე — ხიხაძირში. საკრავებიდან დასახელებულია ჩონგური ჩანახატით (რომელიც მაშინ ცაცხვის ხისაგან გაუკეთებია ნამონასტრეველ იუსუფ თურმანიძეს) და ქემენჩა, რომელიც ზენდიდელი ფადიმე ბერიძის გადმოცემით, შეუძენიათ სოფელ ერგეში. იგი დამზადებული ყოფილა ლაზი ოსტატის მიერ. აქვე საუბარია ჭიბონზე, რომელიც ვერნებელ მთხრობელ თემო აბაშიძეს დაუმზადებია თხის ტყავისაგან.

ხიხაძირში ჩაწერილი მასალებით 1930-იან წლებში გავრცელებული ყოფილა შემდეგი სახის ცეკვები: ხორუმი, ქურთბარი, ყარაბაღი, ყოლსამა, თამზირა. ხორუმი ძირითადად ქორწილებში სრულდებოდა და მასში სამი და მეტი მოცეკვავე მონაწილეობდა. ოცდაათ კაცამდე შეიძლებოდა ჩაბმულიყო ქურთბარის ცეკვაში. ხორუმი და ქურთბარი სრულდებოდა ჭიბონზე, ზურნაზე, საზზე, ჩონგურზე, ქემენჩაზე. ყარაბაღის ცეკვაში ერთი ან ორი კაცი მონაწილეობდა, ყოლსამას ორი, თამზირას სამიდან ხუთ კაცამდე ასრულებდა. დასახელებულია ილეთები, რომლებიც ჩამოთვლილ ცეკვებს ახასიათებდა. მითითებულია ქალთა ცეკვაზე. ცეკვების აღწერას ერთვის ხორუმისა და სხვა ცეკვების ამსახველი ფოტოსურათები, რომლებიც გადაღებულია ხიხაძირში. აქვე დახასიათებულია ხიხაძირში გავრცელებული ძველი სიმღერები.

ცეკვა „ხორუმი“. ხიხაძირი

1935 წელს აჭარაში შეკრებილი შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მასალების საერთო მოცულობა, რომელიც შესულია ხუთტომეულში, ნაბეჭდი სახით მთლიანად შეადგენს 100 გვერდზე მეტს. მასალები შეკრებილია ხულოს რაიონის 15, (მაშინ ხულოს რაიონში შედიოდა შუახევიც), ქედის — 8 და ქობულეთის 2 სოფელში 65 მთხრობელისგან. დასანანია, რომ 1935 წელს საექსპედიციო მასალის ჩაწერა ვერ მოხერხდა ხელვაჩაურის რაიონში. ასე იყო აჭარის პირველი ექსპედიციის დროსაც, 1933 წელს, როდესაც ასეთი მასალები ძირითადად მხოლოდ ხულო-შუახევის რაიონებში იქნა ჩაწერილი.

1935 წელს აჭარაში ჩაწერილი მასალები მნიშვნელოვანი წყაროა საერთოდ აჭარის შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის შესწავლაში. ამ მასალებისა და 1933 წელს აჭარაში განხორციელებული პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის პერიოდში მოპოვებული მონაცემების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მეცნიერულად სრულყოფილად შევისწავლოთ XX საუკუნის 30-იანი წლების აჭარის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და ეთნოლოგიის პრობლემები.

მთლიანად საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის ხუთტომეული, რომელიც ცხრა წიგნად გამოიცა, ქართული მეცნიერების ენციკლოპედიური საგანძურია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის არა მარტო აჭარის, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულზე მომუშავე ვერცერთი მკვლევარი, ისტორიკოსი იქნება იგი თუ ეთნოლოგი, ფოლკლორისტი თუ დიალექტოლოგი, ენათმეცნიერი, ეკონომისტი თუ სხვა.

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია 1930-იანი წლების იმ მთხრობელთა გახსენებაც, ვისგანაც ცნობები ჩავიწერეთ. ისინი მოხსენებული არიან გვარ-სახელით, წლოვანებისა და საცხოვრებელი ადგილის (სოფლის) დასახელებით.

ამრიგად, მრავალტომეულის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა დიდია. მრავალტომეულში ასახულია ქართველი ხალხის მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი სამეურნეო და სულიერი ტრადიციები, მატერიალური და სულიერი ფასეულობანი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის საგანძური, რომელსაც თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ და ვიცავდეთ.

ნოდარ კახიძე,
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

„საუნივერსიტეტო თასი - 2015“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის „საუნივერსიტეტო თასი - 2015“ -ის ტურნირის პირველი ეტაპი წარმატებულად დაიწყო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუტსალის ნაკრებმა წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის ნაკრები დაამარცხა ანგარიშით 9:3 და შემდეგ ეტაპზე გადავიდა. საუნივერსიტეტო თასის მოსაპოვებლად ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის 28 გუნდი იბრძვის. პირველობამ სტარტი 27 ოქტომბერს აიღო და 18 დეკემბერს დასრულდება. გამარჯვებული გუნდები და საუკეთესო მოთამაშეები თასით, მედლებით, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან. შეჯიბრს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და კომპანია „მაგთის“ მხარდაჭერით ატარებს.

სპორტულ დარბაზში გაიმართება საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის „საუნივერსიტეტო თასი - 2015 -ის“ ჯგუფური ეტაპის პირველი შეხვედრა. ერთმანეთს ხვდებიან ბსუ-ს ფუტსალის ნაკრები და წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის ნაკრები.

პირველობამ სტარტი 27 ოქტომბერს აიღო და მასში ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გუნდები მონაწილეობს.

მოგონებები ცნობილი მეცნიერის შესახებ

ბატონ მიხეილის შესახებ, მისი მაღალნაყოფერი და სახელოვანი მოღვაწეობის შესახებ ჩემი მოსწავლეობის წლებში მქონდა გაგონილი. იგი ზემო აჭარასთან თავისი საქმიანობის ადრინდელ პერიოდში ყოფილა დაკავშირებული, კერძოდ, 1929 წელს ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი რომ დაუმთავრებია, ხულოს რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორად დაუნიშნავთ (მაშინ შუახევის რაიონი ხულოსაგან არ იყო გამოყოფილი, გამოეყო 1949 წელს).

ჩემს სოფელში — ჯაბნიძეებში თანმხლებ პირებთან ერთად სკოლის შესამოწმებლად მისულ ბატონ მიხეილისათვის ერთ-ერთ მასწავლებელს უთქვამს: ამ სოფელში 10-12 ოჯახი ძველი გვარით სტამბოლოღლები არიანო. ბატონი მიხეილი დაინტერესებულა იმის გარკვევით, ხომ არ არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ნათესაური კავშირი მის გვარსა და ჯაბნიძეებელ სტამბოლოღლებს შორის. ამ გვარის თავკაცებთან მისი შეხვედრა-გასაუბრებით ასეთი კავშირი არ დადგენილა. უფრო სწორად ბატონ მიხეილს დაუდგენია, რომ ჯაბნიძეებელი სტამბოლოღლი (სტამბოლიშვილი) ისევე შერქმეულია, როგორიც მისი გვარი. ამის სწორი ახსნა გააკეთა აჭარული გვარსახელების მკვლევარმა იოსებ ბექირიშვილმა, კერძოდ, მან დაადგინა: მაჭახლიდან ლეღვაში გადასახლებულმა კოპალაძის შთამომავალმა კობალაძედ დაიწერა და სასწავლებლად სტამბოლს გაემგზავრა. იგი უაღრესად ნიჭიერი აღმოჩნდა, თურქებმა დაიტოვეს, კარგი სამსახური და დიდება შესთავაზეს; მაგრამ ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულმა არ მოასვენა და იგი ლეღვაში დაბრუნდა. სხვა კობალაძეებისგან განსხვავებით მას სტამბოლელი უწოდეს, შვილებს — სტამბოლიშვილები (იოსებ ბექირიშვილი. ასი აჭარული გვარ-სახელი. ბათუმი, 1996, გვ. 164). როგორც ჩანს ჯაბნიძეებშიც მსგავსი მდგომარეობა განმეორდა: სტამბოლში დამკვიდრებული და ისევ უკან დაბრუნებული ჯაბნიძეებელის შვილებს სტამბოლოღლები შეარქვეს.

ზემოთ რაც ვთქვით, ის ბატონ მიხეილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადრინდელ წლებს უკავშირდება. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მომდევნო ეტაპები ამ დიდი პიროვნების ბიოგრაფიის ბრწყინვალე გაგრძელებაა. აქ იგულისხმება: ფილოსოფიის სპეციალობით სწავლის გაგრძელება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, მომდევნო წლიდან სწავლის გაგრძელება მოსკოვში ფილოსოფიის, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მეორე კურსზე. ამ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი 1936 წელს ბრუნდება ბათუმში და იწყებს ლექციების კითხვას ფილოსფიაში ახლად გახსნილ ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში; 1938 წლიდან მას აქ ფილოსოფიის კათედრის გამგედ ნიშნავენ, სადაც შეუცვლელად მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე (1970 წლამდე). 1941-1943 წლებში იგი იყო შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის რექტორიც.

ხულოს რაიონში მისი ადრინდელი მუშაობის გამოცდილებით ბატონი მიხეილი ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მოსწავლეები მოეზიდა მთიანი აჭარიდან სამასწავლებლო ინსტიტუტში სწავლისათვის. მაშინ ზემო აჭარის სკოლებში ძირითადად, საქართველოს სხვა რაიონებიდან ჩამოსული მასწავლებლები ასწავლიდნენ. მათ დიდი ამაგი მიუძღვით ზემო აჭარაში სახალხო განათლების განვითარებაში. მაგრამ მასწავლებელთა ადგილობრივი კადრების მომზადება მაინც გადაუდებელ ამოცანად რჩებოდა. ამ საქმეში ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი მაშინ ომი და მოსახლეობის უკიდურესი გაჭირვება იყო. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა; უფრო ბევრმა ახალგაზრდამ, მათ შორის ქალიშვილებმაც, შეძლეს გამხდარიყვნენ პედინსტიტუტის სტუდენტები.

ბატონი მიხეილი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყველაზე დიდხანს (32 წლის მანძილზე) შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრას ხელმძღვანელობდა. მართალია ამ კათედრას სხვადასხვა დროს სახელწოდებას უცლიდნენ, მაგრამ მისი შინაარსი და დანიშნულება ყოველთვის ფილოსოფიით იყო განსაზღვრული. ამ კათედრას ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნის შემდეგ პროფესორი კოტე ბაქრაძე განაგებდა, რომელმაც 1938 წელს ბატონ მიხეილს გადააბარა მისი ხელმძღვანელობა. პროფესორი კოტე ბაქრაძე ბატონ მიხეილს აჭარელთა შორის პირველ ფილოსოფოსად თვლიდა, ძალიან მოსწონდა მისი ერუდიცია და მუყაითი შრომით მოპოვებული ავტორიტეტი. მართლია, 1938 წლის შემდეგ პროფესორი კოტე ბაქრაძე თბილისში დაბრუნდა საცხოვრებლად და სამუშაოდ, მაგრამ საქმიანი კონტაქტები და მეგობრული ურთიერთობა ბათუმის პედინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრათან არასოდეს შეუსუსტებია: ყოველწლიურად შემოდგომაზე უყვარდა ბათუმში ჩამოსვლა; ეხმარებოდა კათედრის წევრებს კვალიფიკაციის ამაღლებაში. ბატონი მიხეილ სტამბოლიშვილი და კათედრის წევრები მას ხვდებოდნენ, პატივს მიაგებდნენ როგორც თანამედროვე ქართული ფილოსოფიური აზროვნების დიდ წარმომადგენელს და საპატიო სტუმარს. აქ არ შემიძლია არ გავიხსენო: როცა მე 1953-1958 წლებში თბილისის (მაშინ, ი. სტალინის სახელობის) სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ბატონი კოტე მაფრთხილებდა — უნივერისტეტის დამთავრების შემდეგ რა თანამდებობაც არ უნდა დაიკავო, ფილოსოფიას ზურგი არ შეაქციო, მალე ჩამოდი ჩვენთან ასპირანტურაში ჩასარიცხად და დისერტაციის მოსამზადებლად; შენ როგორც ახალგაზრდა ფილოსოფოსი ძალიან ჭირდები ბათუმის პედინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრას.

მიხეილ სტამბოლიშვილი

მე კმაყოფილი ვარ იმით, რომ ძირითადად შევასრულე ჩემი საყვარელი მასწავლებლის პროფესორ კოტე ბაქრაძის რჩევა-დარიგებანი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ორი წელი ვიმუშავე სკოლაში, შემდეგ გადამიყვანეს პარტიულ სამუშაოზე შუახევისა და ხულოს რაიონებში. ამ პერიოდში შევქმენი საკუთარი ოჯახი. ამასობაში 9-10 წელიწადი გავიდა. სწავლის გაგრძელებაზე სულ ვფიქრობდი, მაგრამ მიჭირდა ახალშექმნილი ოჯახისა და მცირეწლოვანი შვილების მიტოვება; ასევე მიჭირდა სამსახურის მიტოვება, მით უმეტეს, დაწინაურების პერსპექტივაც გამოკვეთილად ჩანდა.

მიუხედავად ამისა, ჩემი ცხოვრება ასე გაგრძელდა: 1968 წლის იანვრის შუა რიცხვები იქნებოდა, ტელეფონით დამიკავშირდა პროფესორი მურად ჩავლეიშვილი და მითხრა, - თქვენთან შეხვედრა სურს ჩვენი კათედრის გამგეს პროფესორ მიხეილ სტამბოლიშვილს. შევთანხმდით, რომ ორ დღეში ჩავიდოდი ბათუმში და ვეახლებოდი ბატონ მიხეილს. ასეც მოვიქეცი. მიუხედვად იმისა, რომ ბატონ მიხეილის შესახებ ბევრი რამ ვიცოდი, პირისპირ პირველად ვხვდებოდი. შეხვედრამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მის ნათქვამში გამოხატული იყო ჩემ მომავალზე ზრუნვა და კეთილი სურვილები. ისიც მითხრა, რომ გასული წლის შემოდგომაზე ჩვენთან ჩამოსული იყო აკადემიკოსი კოტე ბაქრაძე; როცა მოვიჩივლე ახალგაზრდა ფილოსოფიური კადრების ნაკლებობაზე, თანაც ვუთხარი ჩამოსული კადრები ჩვენთან დიდხანს არ რჩებიან, ისევ უკან ბრუნდებიანო, მაშინ შენი სახელი და გვარი გაახსენდა და მითხრა: ამ ახალგაზრდამ ამ 9-10 წლის წინ წარჩინებით დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი, აქაური იყო და აქ წამოვიდა საცხოვრებლად და სამუშაოდ; თუ ბათუში არ არის, რომელიღაც რაიონში იქნება, მოძებნეთ და მოელაპარაკეთო.

მე მოკრძალებით მადლობა გადავუხადე ბატონ მიხეილს კათედრაზე მოწვევისათვის და შევპირდი მომავალი სასწავლო წლიდან მასთან გადმოვიდოდი სამუშაოდ. ასეც მოხდა, 1969 წლის ივნისში კათედრაზე გამოვცხადდი ჩემი დატვირთვის გასაგებად, ხოლო სექტემბრიდან შევუდექი მუშაობას. შევასრულე ბატონ მიხეილის ერთი თხოვნაც: ასპირანტურაში დასწრებულზე არ წავიდოდი თბილისის უნივერსიტეტში, არამედ ჩავაბარებდი იქ საკანდიდატო მინიმუმს და ასე მოვემზადებოდი ხარისხის მოსაპოვებლად. ასეც მოვიქეცი.

ასე და ამრიგად დიდი მამულიშვილისა და ყველასათვის საყვარელი ადამიანის პროფესორ მიხეილ სტამბოლიშვილის დახმარებით დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი ეპოქა; მალე დავმკვიდრდი შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (შემდეგ უნივერსიტეტში) და ფილოსოფიის კათედრის სრულფასოვანი წევრი გავხდი. მას შემდეგ 45 წელი გავიდა.

ყველა თითოეული ჩვენგანისთვის მძიმედ განსაცდელია ის ფაქტი, რომ ბატონმა მიხეილმა ადრე დატოვა წუთისოფელი. მაგრამ მისი სახელოვანი მოღვაწეობის მანძილზე იმდენი კეთილი და დიდი საქმეების გაკეთება მოასწრო, რომ იგი მუდამ უკვდავთა შორის მოიაზრება.

რომან ზოსიძე,
ფილოსოფიის დოქტორი,
ემერიტუსი

წიგნი, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს

ამ დღეებში თბილისში საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის იუბილე აღინიშნა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული ეროვნული განათლების სრულყოფისა და განვითარების საქმეში.

აკადემიკოსი ნათელა ვასაძის ხელმძღვანელობით ეს აკადემია ცოცხალი პედაგოგიური აზრის ნამდვილ სამჭედლოდ იქცა. ქართული პედაგოგიკური მეცნიერების განვითარების საქმეში დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება.

იუბილეზე აღინიშნა განათლების მეცნიერებათა აკადემიისადმი ფართო სამეცნიერო და პედაგოგიური წრეების, უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მადლიერება, კმაყოფილება და მხარდაჭერა.

იუბილეზე წარდგენილი იქნა განათლების მეცნიერებათა აკადემიის მიერ ახლახან გამოცემული ნაშრომი „საქართველოს განათლების მატიანე“, რომელიც ამავე აკადემიის ნაყოფიერი მოღვაწეობის გვირგვინია.

ნაშრომი „საქართველოს განათლების მატიანე“, რომლის შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი ნათელა ვასაძე გახლავთ, ენციკლოპედიური მნიშვნელობის, მრავალმხრივი სამეცნიერო—პოპულარული ნაშრომია. ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) გამოცემა უდიდეს სამსახურს გაუწევს ქართული ეროვნული განათლების საკითხებით დაინტერესებულთა ფართო წრეს.



ნაშრომში გადმოცემულია ოცსაუკუნოვანი ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები, რომელიც ქართველმა მკითხველმა არა მხოლოდ უნდა წაიკითხოს, არამედ ღრმად უნდა გააცნობიეროს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თავისი ქვეყნის განათლების განვითარების ისტორია ყოველმა ქართველმა კარგად უნდა იცოდეს.

ეჭვგარეშეა, ნაშრომი „საქართველოს განათლების მატიანე“ ქართველი მკითხველისათვის სამაგიდო წიგნი გახდება.

ნანი გუგუნავა

უნივერსიტეტი „სტუდენტ-ახალგაზრდული დღეების“ გრან-პრის მფლობელია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი „სტუდენტ—ახალგაზრდული დღეების“ გამარჯვებულია. ახალგაზრდებმა საკუთარი შესაძლებლობები შემოქმედებით, კულტურულ და სპორტულ შეჯიბრებებში წარმოაჩინეს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გუნდებმა პირველი ადგილი დაიკავეს მხიარულ სტარტებსა და მინიფეხბურთში. კომპეტენტურმა ჟიურიმ ბათუმის საზაფხულო თეატრში გამართულ დასკვნით კონცერტზე გრან-პრის მფლობელად ბსუ დაასახელა. ახალგაზრდული ფესტივალი ბათუმის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა და მასში ქვეყნის ათი უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ. გამარჯვებული გუნდის წევრები შემოქმედებითი ტურით ტაო-კლარჯეთში გაემგზავრებიან. დასკვნითი ღინისძიება ჯგუფ „ფრანის“ კონცერტით დასრულდა.

სამართალმცოდნეობის აქტუალურ საკითხებზე საჯარო ლექციები გაიმართა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლემ (1999-2009), ვენეციის კომისიის წევრმა, პროფესორმა მინდია უგრეხელიძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექციები წაიკითხა სამართლის ფილოსოფიის, ევროპული სასამართლოების და საერთაშორისო სისხლის სამართალის თემებზე. ორი დღის განმავლობაში მომხსენებელმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სამართლის, როგორც განზომილებათა სისტემის (ლეგიმეტრიის), ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში პრეცედენტული სამართლისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების აქტუალური საკითხები გააცნო. საჯარო ლექციები აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის „საჯარო ლექციების“ ფარგლებში ჩატარდა.

საშვალენიერო ექსპედიცია სტამბოლის ქართულ სავანეში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების წევრები: ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე, ფილოლოგიის დოქტორი ნარგიზ ახვლედიანი, განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი ციალა ნარაკიძე, მონვეული სპეციალისტი შორენა ფუტკარაძე 2014 წლის 7 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით ვიმყოფებოდით სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ფონდთან შექმნილ ბიბლიოთეკასა და არქივში, სადაც აღვრიცხეთ და ენობრივი მონაცემების მიხედვით დავალაგეთ 5 000—ზე მეტი წიგნი (5 135 წიგნი).

ექსპედიციის წევრები ასევე ვაგროვებდით ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ მასალებს ქართველ მუჰაჯირებთან. სამეცნიერო ექსპედიცია სტამბოლის ქართულ სავანეში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ბატონ სიმონ ზაზაძისა და მისი ოჯახის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ჩვენი სახელოვანი წინაპრები უხსოვარი დროიდან ისწრაფოდნენ ქართველი ერის კულტურისა და განათლების მიღწევების ქვეყნის გარეთ გასატანად, ცდილობდნენ სამყაროს მოწინავე ხალხებისათვის გაეცნოთ ჩვენი ერის მონაპოვარი, შორს გაეთქვათ საქართველოს სახელი.

სტამბოლი (ძვ. კონსტანტინოპოლი)—ევროპისა და აზიის შემაკავშირებელი ხიდი, კაცობრიობის კულტურის და განათლების ერთ—ერთი მნიშვნელოვანი კერა, ძველი დროიდანვე იზიდავდა ქართველებს. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოში სწორედ ამ გზით შემოდიოდა ევროპული ცივილიზაცია. ამ ქალაქში ქართული კულტურის კვალი ადრეული საუკუნეებიდანვეა საგულვებელი, თუმცა წერილობითი წყაროები ჯერჯერობით მხოლოდ IX საუკუნიდან მოგვეპოვება. ეს ცნობები დაცულია ძველ ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, ებრაულ, არაბულ წყაროებში. აქ წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი ფილოსოფოსები, მთარგმნელები, გამოჩენილი სასულიერო პირები. მათ შორის აღსანიშნავია წმინდანები — ილარიონ ქართველი და გიორგი მთაწმინდელი. სტამბოლში ჩვიდმეტი თვე ცხოვრობდა დიდი მამულიშვილი სულხან—საბა ორბელიანი, რომელიც ეძიებდა გზებს საქართველოს გადასარჩენად. სტამბოლში, გალათას უბანში, 1626 წლის შემოდგომაზე თავისი ამალით დასახლდა დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. სტამბოლის შვიდკოშკიანი ციხე დღესაც აღძრავს ხოლმე მწარე მოგონებებს შავბნელი წარსულის შესახებ და არ გვავიწყებს სვიმონ მეფის (1556—1599) ტრაგიკული სიცოცხლის დასასრულს. სტამბოლში შექმნა მნიშვნელოვანი შრომა სვიმონ მეფის ძმამ დავით XI-მ (დაუთ—ხანმა)—„იადიგარ—დაუდი“—სამკურნალო წიგნი. მან 1578 წელს სტამბოლს შეაფარა თავი და იქვე გარდაიცვალა.

ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა: „საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად ფასეული იყო. იმ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში იქ დაუნჯებული ჰქონდა, სხვა მხრივაც გახლდათ მეტად დასაფასებელი. უცხოეთში მყოფი მონასტრების საშუალებით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი უცხოეთში დაარსებულ ქართველთა სავანეებში ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, საქართველოს უმალვე სწვდებოდა ხოლმე იქ მომუშავე ქართველი მოღვაწეების—მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით“.

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ამგვარი დანიშნულების დანესებულება გახლდათ ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის სავანე — ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია—მონასტერი, ქართული სტამბითა და მდიდარი ბიბლიოთეკით. ამ სასულიერო და კულტურულ—საგანმანათლებლო ცენტრის დამფუძნებელი იყო ახალციხელი მამა პეტრე ხარისჭირაშვილი. მისი თავდაუზოგავი ზრუნვის შედეგად, სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში—ფერიქოიში (ქართ. „ანგელოზთა სოფელი“) 1861 წელს აშენდა ეკლესია და დაფუძნდა დედათა და მამათა მონასტრები. 1870 წლისთვის აქ უკვე მუშაობდა ქართული სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ქართული წიგნები, მოგვიანებით—ფრანგულიც.

ქართული კულტურის კვალი სტამბოლის ბევრ უბანში — გალათაში, სოსთენეში, ვეზირხანში, უსქუდარში, პერაზე, პაპასქვეფრში—დროთა სვლამ წაშალა. დღეგრძელი აღმოჩნდა მხოლოდ ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია—მონასტერი—ქართული საყდარი, ქართველთა სავანე.

ფერიქოის ეკლესია—მონასტერთან გაიხსნა ქართულ—ფრანგული და ქართულ—ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები. ფერიოქოის სავანეში 1908 წელს გაიხსნა აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა, სადაც დღემდე დაცულია უნიკალური ქართული და უცხოური გამოცემები, დაბეჭდილი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის სტამბებში. წლების განმავლობაში ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნიდან აქ იგზავნებოდა ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში დაცულია წიგნები და ჟურნალ—გაზეთები 17 სხვადასხვა ენაზე.

ამ სავანის აღზრდილები არიან ცნობილი მეცნიერები, მწერლები, სახელოვანი ერისკაცები: ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), მიხეილ თამარაშვილი, მიქელ თარხნიშვილი, შალვა ვარდიძე, ანდრია წინამძღვრიშვილი, სტეფანე გიორგაძე, იოსებ მერაბიშვილი, ელისაბედ ბეჟანიძე, პიო ბალიძე, ბენედიქტე ვარდიძე, ალფონს ხითარიშვილი, პეტრე ტატალაშვილი, აბისინიის (ეთიოპიის) მეფის სასახლის ექიმი პეტრე მერაბიშვილი (დოქტორ მერაბი)... ერთხანს სტამბოლის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა წმიდა მამა გრიგოლ ფერაძე. ამავე გიმნაზიის აღზრდილები იყვნენ ეკლესია—მონასტრის ბოლო მსახური პავლე ადგულაძე (აკობაშვილი) და ეკლესია—მონასტრის თავდაუზოგავი ქომაგი, 1966—1989 წლებში ქართველ კათოლიკეთა საზოგადოების თავმჯდომარე, თურქეთში ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი პავლე ზაზაძე.

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე (1861—1982 წწ.) სტამბოლის სავანე იმედად ეგულებოდა სამშობლოდან გადახვეწილ, ოსმალეთის მთა—ბარს შეხიზნულ მილიონობით ქართველს. ამ სავანემ მთელი საუკუნის მანძილზე თავდადებით იღვაწა ქართველი მუსლიმების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. პეტრე ხარისჭირაშვილის, ალფონს ხითარიშვილის, ანდრია წინამძღვრიშვილის, სტეფანე გიორგაძის, იოსებ მერაბიშვილის, შალვა ვარდიძის, პიო ბალაძის, პეტრე ტატალაშვილის დიდი მამულიშვილური საქმიანობით სამშობლოდაკარგულ ქართველებში აღორძინდა ეროვნული სული. ამ ტაძარში დღესაც ნაღვერდალივით ღვივის ქართული სულის ნაპერწკალი და ქართველობას აცოცხლებს დედის კალთას დანატრებულ ქართველებში.

1911 წელს შალვა ვარდიძის ხელმძღვანელობით მონასტერში დაარსდა ქართული კლუბი, სადაც იმართებოდა შეხვედრები და თავყრილობები. თითო შეხვედრას სულ ცოტა 150 ქართველი მაინც ესწრებოდა ხოლმე. მათ რიცხვში წარმოდგენილი იყო სტამბოლის ქართველი დიდკაცობა: ფაშები, გენერლები, პარლამენტარები, ვექილები, ექიმები, ვაჭრები, სტუდენტები. შეხვედრები იხსნებოდა და მთავრებოდა ქართული სიმღერებით, საეკლესიო საგალობლებით. კლუბის წევრებმა წესდებაც კი შეიმუშავეს, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ უცვლელად დაამტკიცა.

აღნიშნულის ნათელსაყოფად მივმართავთ იტალიელი დიპლომატისა და მწერლის ევგენი დალეჯიო დალესიოს მიერ 1920 წელს ფრანგულად დაწერილ ნაშრომს — „ქართველები კონსტანტინეპოლში“, რომელიც ქართულად თარგმნა მღვდელმა შალვა ვარდიძემ და დაიბეჭდა მონასტრის სტამბაში 1921 წელს. იგი სტამბოლის ქართველთა სავანის საქმიანობას შემდეგნაირად გვიხასიათებს: „სტამბოლის სავანე არის არა მარტო სასულიერო დაწესებულება, არამედ ამასთან ერთად არის პოლიტიკურიც, რამდენადაც სარწმუნოება და პოლიტიკა ერთიმეორეს შეკავშირებული არიან. ამ სავანის მღვდლები დასაწყისიდან დღემდე არ დაერივნენ თავიანთი საზოგადოების არსებობის განსაცდელში ჩაგდებას და განმსჭვალულებმა დიდებულ მომავლის რწმენით, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა... მათ ეს სავანე გარდაქმნეს ეროვნულ კერად... ეს საზოგადოება ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ... ამ საზოგადოების მიზანი დღესაც არის ქართველი ხალხის გამოღვიძება—აღორძინება სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად და კულტურულად... ამავე საზოგადოების წყალობით, ვატიკანი და საფრანგეთის მთავრობა მარადის ეცნობოდნენ საქართველოს, ქართველების ისტორიას და თანამედროვე მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ მდგომარეობას... ამ სავანეში მოსული ქართველი უსათუოდ იგრძნობს მამულის სიყვარულს, მოიგონებს ქართველი ხალხის დიდებულ წარსულს და განიმსჭვალება ნათელი მომავლის იმედით, ქართველთა უკვდავების გრძნობებით“ (ევგენი დალეჯიო დალესიო. ქართველები კონსტანტინეპოლში. ფრანგულიდან თარგმნილი პ. შალვა ვარდიძისა. სტამბოლი. 1921. გვ. 30).

სტამბოლის ქართველთა სავანის დიდ მნიშვნელობაზე მიგვითითებს აგრეთვე ქართული ემიგრაციის ერთ—ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გივი ზალდასტანიშვილი. 1970 წელს იგი ამერიკიდან სტამბოლში სპეციალურად ჩავიდა და მონასტრის საქმიანობას გაეცნო. ნიუ—იორკში გამომავალ ქართულ გაზეთში „ქართული აზრი“ იგი ასე წერდა: „ისტამბოლის მონასტერს—ჩვენი კულტურის სავანეს—საქართველოს მარადიულობისათვის ბრძოლაში დიდი მონაწილეობა მიუღია... თურქეთში ამგვარი ცენტრის არსებობას ჩვენი ერისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და სხვა ცენტრებთან შედარებით, უპირატესობა მიეკუთვნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ქართული წარმოშობისაა (გაზეთი „ქართული აზრი“, ნიუ—იორკი. N85, 1970 წ.).

სტამბოლის ქართული სავანის ღვაწლზე მოგვითხრობს 1949 წლის 28 აპრილს სავანის წინამძღვრის, მღვდელ პიო ბალაძის მიერ საქართველოს მთავრობისადმი მიწერილი მოხსენებითი ბარათი, სადაც ვკითხულობთ: „იმედს გამოვსთქვამ, რომ თბილისი ჩვენს მდგომარეობაში შევა და ჯეროვან ყურადღებას მოგვაქცევენ. ვართ უცხო ქვეყანაში უპატრონოთ დარჩენილნი. ჩვენ ვართ განწირულნი ერისთვის და სამშობლოსათვის. ნიკოლოზმა სახლის კარი გადაგვირაზა; მენშევიკებმა ბამბით ყურები დაიცვეს; ნუთუ საბჭოთა მთავრობაც დაგვივიწყებს?!... კონსტანტინეპოლის ქართული მონასტერი იყო, არის და იქნება ქართული სულის მატარებელი თავშესაფარი ყოველი ლტოლვილი და გაჭირვებული ქართველისა, მიუხედავად მისი რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებისა. იგი ფხიზელი დამცველი და დარაჯია ქართული ინტერესებისა. სასურველი იქნება ღირსეულად შეფასდეს მისი ღვაწლი და ეს პატარა საქართველო უცხოეთში დაცული და შენახული იქნეს“ (მოხსენებითი ბარათი შენახულია სტამბოლის ქართველთა სავანის არქივში).

მართლაც, სტამბოლის ქართული სავანის სასულიერო საზოგადოების ერთ—ერთი მთავარი მიზანი თავიდანვე იყო ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთების აღორძინება, მათი სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და კულტურული თვითშეგნების გამოფხიზლება. მართლაც, ამ საზოგადოების თითქმის ასწლიანი მოღვაწეობა საუკეთესო ნიშანი იყო თავისუფლდებადაკარგული ქართული ეროვნული სულის ძლიერი პროტესტისა, ამ სულის უძლეველობისა.

1966 წელს შეიქმნა ეკლესიასთან არსებული კათოლიკური საზოგადოების ფონდი, ფონდის თავმჯდომარედ აირჩიეს მონასტერთან არსებულ ვაჟთა სასწავლებელში აღზრდილი, ახალციხელი, სოფელ უდედან გადასახლებული ქართველი პავლე ზაზაძე. XX საუკუნის 30—იან წლებიდან მოყოლებული სწორედ ეს პიროვნება გახლდათ ერთგული მზრუნველი და საიმედო პატრონი მინიტრის ხანდაზმული ბერ—მონაზვნებისა. ბევრი მათგანი მისი უახლოესი ნათესავი იყო. 1989 წლამდე პირნათლად ემსახურა იგი ქართული საყდრის მოვლა—პატრონობის საქმეს. ბევრჯერ უმასპინძლა მან როგორც საქართველოდან, ისე ევროპიდან და ამერიკის ქვეყნებიდან სტუმრად ჩასულ ქართველებს, რომლებსაც ჩაჰქონდათ, ანდა მის სახელზე აგზავნიდნენ ლიტერატურას სტამბოლის ქართული ბიბლიოთეკისათვის, პავლე ზაზაძე და მისი შვილი სიმონ ზაზაძე რამდენიმეჯერ მასპინძლობდნენ საქართველოდან სტამბოლში ჩასულ საპატიო სტუმარს, საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს.

ბატონი სიმონი დაკავშირებულია ევროპისა და ამერიკის ქვეყანაში მცხოვრებ ემიგრანტ ქართველებთან. იგი ქართული კულტურის მოამაგე და ქომაგია არა მარტო სტამბოლში, არამედ მისი მზრუნველი ხელი სწვდებოდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ემიგრანტ ქართველთა მიერ დაარსებულ კულტურის კერებსაც და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ფინანსურად. მეგობრობდა ნინო და კალისტრატე სალიებთან, გივი ზალდასტანიშვილთან, ჯონ მალხაზ შალიკაშვილთან და სხვებთან. წლების განმავლობაში აფინანსებდა „ბედი ქართლისას“ ფრანგულენოვან ნომრებს (1962—1982 წწ.).

XX საუკუნის დასაწყისიდან სტამბოლის ქართულ სავანეში დიდი საშვილიშვილო საქმე იდგამდა გვირგვინს, წუთისოფლის ბორბალი უკუღმა რომ არ დატრიალებულიყო. სახელოვანმა მამულიშვილებმა შეიმუშავეს ოსმალეთში მცხოვრებ მუსლიმან ქართველთა შორის წერა—კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროგრამა. 1914 წლისათვის ქართული სკოლის გახსნასაც აპირებდნენ. ამ საქმის ორგანიზატორები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, გიორგი ყაზბეგი, დავით კარიჭაშვილი, სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი, მამა შალვა ვარდიძე, მემედ—ბეგ აბაშიძე და ისკენდერ—ეფენდი ცივაძე. სამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და საქმე ჩაიშალა. მაშინ რომ ბედს გაეღიმა ოსმალელი ქართველებისათვის და ქართული სკოლა დაფუძნებულიყო, ტრადიციად იქცეოდა და ალბათ დღესაც იარსებებდა.

ქართველთა სავანეში დაიბეჭდა ცნობილ სტამბოლის კონფერენციაზე წარსადგენი მოკლე სამახსოვრო ცნობა—„საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“, კონსტანტინეპოლი, საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა, 1918“. ცხადია, ამ ბროშურის მომზადებაში ცნობილ მეცნიერებთან—ივანე ჯავახიშვილთან, პავლე ინგოროყვასთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, მიხაკო წერეთელთან... ერთად, მონაწილეობდნენ სავანის სასულიერო პირებიც, განსაკუთრებით მღვდელი შალვა ვარდიძე, ნიჭიერი ისტორიკოსი და დიდი პატრიოტი.

მონასტერთან არსებული ქართულ—ფრანგული და ქართულ—ბერძნული ვაჟთა და ქალთა სკოლების მოსწავლეები ხშირად აწყობდნენ საღამო—წარმოდგენებს თურქულ, ქართულ და ფრანგულ ენებზე. საღამოები ეძღვნებოდა რელიგიურ დღესასწაულებს, გამოჩენილ პირთა საიუბილეო თარიღებს. ყოველწლიურად 14 იანვარს იმართებოდა (ამჟამადაც იმართება ხოლმე) ნინოობის დღესასწაული. 1908 წლის 26 აპრილს დიდი ზეიმით გადაიხადეს პოეტ აკაკი წერეთლის იუბილე. საღამოებს ბევრი მაყურებელი ჰყავდა და საჩუქრებიც ბევრი შემოდიოდა. მაგალითად, 1894 წლის 8 მაისს გამართულ საღამოზე შემოსულა 40 ოქროზე მეტი, რომელიც გამოეყენებიათ მონასტრის ოთხსართულიანი სახლის მშენებლობაზე.

თავყრილობებს ესწრებოდნენ საქართველოდან ჩასული სტუმრებიც, მათ შორის: ვახტანგ ღამბაშიძე, იასე რაჭველი (მეხუზლა), მიხეილ და ვლადიმერ წერეთლები, დავით ჩიქოვანი, გერასიმე ნადარეიშვილი, მემედ—ბეგ, ასლან—ბეგ, აბედინ—ბეგ აბაშიძეები, ჰაიდარ—ბეგ ბეჟანიძე, ისკენდერ—ეფენდი ცივაძე, ნური ეფენდი ბერიძე, გიორგი მაჩაბელი, მელიტონ ქარცივაძე, პეტრე სურგულაძე, აკაკი ხოშტარია, ლეო კერესელიძე, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები.

ამ საღამოებისა და საერთოდ, ქართული კათოლიკური სავანის კულტურულ—საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობენ მაშინდელი ჟურნალ—გაზეთები: „დროება“, „სახალხო გაზეთი“, „ივერია“, „ჯვარი ვაზისა“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „ერი“, „იმერეთი“, „კოლხიდა“, „თემი“, „საქართველო“, „ერთობა“ და სხვ. XX საუკუნის 30—იანი წლებიდან 80—იან წლებამდე კი ამ თემას აშუქებდა ქართული ემიგრანტული პერიოდიკა: „თეთრი გიორგი“, „დამოუკიდებელი საქართველო“,, „თავისუფალი საქართველო“, „ქართული აზრი“, „ბედი ქართლისა“, „მამული“, „კავკასიონი“... ამ გამოცემების ეგზემპლარები დღემდეა შენახული მონასტრის ბიბლიოთეკაში.

სტამბოლელ ქართველთა სავანემ, დედასამშობლოსაგან დაშორებულმა, სწორედ სასიკეთო, კეთილმეზობლური საქმიანობით მოახერხა გაეძლო დროის ქარტეხილებისათვის.

1988 წელს სარფის კარის გახსნის ამბავი იმედის შუქად ჩაეფინა ჯანგატეხილ მოხუცს. სამშობლოს მონახულებას ესწრაფვოდა, მდინარე ფოცხოვის ნაპირებზე გაშლილი ჭალების ხილვას ნატრობდა, მშობლიურ უდეს არ სცილდებოდა მისი ფიქრები. 1989 წლის მაისში ბატონ პავლე ზაზაძეს სტამბოლში, „ჩვენებურების ქართულის“ პირველი ტომის მასალებზე მუშაობის დროს, შეხვდა ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე. მისგან ჩაიწერა სამშობლოს სიყვარულით გამთბარი მშვენიერი ტექსტი, მესხური ენობრივი ფორმებით შემკული. აი, ერთი მონაკვეთი ამ საუბრიდან. „ფიქრებში წავალ ბევრჯელა... დღეში რამდენჯერმე გადავალ და გადმოვალ საზღვარზე. მოვიარ საქართველოსა. მახსოვს სოფლის ტყეში ერთი დანგრეული ეკლესია იყო. დედას მივყავდი იქა და ვლოცულობდით. ტყეში რომ შეხვალ, ერთი წყარო შეგვხვდება. იმ წყაროს წყალი მწყურია ახლა... ბევრჯელ სიზმარშიც მესიზმრება. ამ ახლოხან დამესიზმრა ის წყარო, მაგრამ ვერ ვსვი, დაკეტილი იყო. დიდი ოქროებით იყო დაფარული წყლის ჭურჭელი—ავაზანი. წყლის გამოსაშვები ადგილი ოქროს ბოქლომით იყო დაკეტილი. ფიქრები კარგი საქმეა, საქართველო სინათლეში გამოვა. მარა დაკეტილი რომ იყო და ვერ ვსვი, ეს არ დამწონდა. ესა საქართველოსთვინაც არ ამბობს კარგსა... გვიან გამოვა საქართველო სინათლეში. მეც კარგს არ მიქადის ბედი. წყაროს წყალი რომ ვერ ვსვი, წყარო დაკეტილი რომ იყო, ალბათ აღარ არის ჩემი ყისმეთი, აღარ მომესწრება მისი სმა... გადაწყვეტილი მაქვს ამ წელიწადში შემოვიდე საქართველოში, სარფის კარიდამ. ზღვით წავალ ბათომიდამ, ხმელეთით მოვალ სარფიდამ... ყოველთვის დედა მარიამს ვევედრები, მომასწროს სამშობლოს ნახვა... დიდი ხანია აღარ შემხვედრია ვინმე საქართველოდამ მოსული. რომ მნახეთ, ამაზე მადლობას მოგახსენებთ. ასე მგონია, თქვენ რომ გნახეთ, თქვენ რომ გული გაგიხსენით, საქართველო ვნახე თითქოს, სამშობლოს ვესაუბრე თითქოს... ღმერთმა გამშვიდობოთ, ღმერთს ებარებოდეთ თქვენცა და ჩვენი საქართველოცა!...“

ერს, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს გადაშენება არ უწერია, უფლის სადიდებლად!

ნარგიზ ახვლედიანი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

ნომრის რედაქტორი:
ნესტან მამუჭაძე

saredaqcio kolegia:
nana cecxlaZe, inga SamiliSvili
naTia wiklaSvili, nino doliZe
murman gorgoSaZe,
daviT baraTaSvili
guram Caganava,SoTa mamulaZe
gugu li dumbaZe, nugzar RomiZe

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში„
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7